პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 31-ე წელი

პარასკევი, 29 დეკემბერი, 1950 წ. № 292 (8852). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

ვოლგა-დონის სანაოსნო არხი — „პრავდის" 28/XII მოწინავე (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში — ვოლგა-დონის სანაოსნო არხის მშენებლობისა და როსტოვისა და სტალინგრადის ოლქების მიწების მორწყვის შესახებ (1-ლი გვერდი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში—ჩაის პლანტაციებში შემოდგომა-ზამთრის სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ (მე-2 გვერდი).

გ. სიხარულიძე — ბოლშევიკური გაზეთი „ზვეზდა" (მე-2 გვერდი).

დაიწყო მზადება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის (მე-3 გვერდი).

ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ ახალ სამეურნეო წელს (მე-3 გვერდი).

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს სხდომა (მე-4 გვერდი).

კორეის ამბები (მე-4 გვერდი).

ი. ა. მალიკის საუბარი ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნული საბჭოს ქალთა კომიტეტის დელეგაციასთან (მე-4 გვერდი).

ვოლგა-დონის სანაოსნო არხი

დღეს „პრავდაში" ქვეყნდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „ვოლგა-დონის სანაოსნო არხის მშენებლობისა და როსტოვისა და სტალინგრადის ოლქების მიწების მორწყვის შესახებ".

ეს ისტორიული დადგენილება სტალინური ეპოქის ახალი შესანიშნავი დოკუმენტია, რომელიც მოგვითხრობს კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში საბჭოთა ხალხის გმირობის შესახებ. იგი ყოველი საბჭოთა ადამიანის გულში გამოიწვევს თავისი სამშობლოსადმი, ბოლშევიკური პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის ამხანაგ სტალინისადმი მხურვალე სიყვარულისა და უსაზღვრო ერთგულების კეთილშობილურ გრძნობებს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში ნათქვამია:

„ჯერ კიდევ ომამდე დაიწყო ვოლგა-დონის სანაოსნო არხის მშენებლობა. ვოლგისა და დონის შეერთებით უნდა დამთავრებულიყო უდიდესი სამუშაოები, რაც საბჭოთა ხელისუფლების წლებში განხორციელდა იმ სანაოსნო გზების რეკონსტრუქციისა და მშენებლობისათვის, რომლებიც თეთრ, ბალტიისა და კასპიის ზღვებს შეაერთებენ აზოვისა და შავ ზღვასთან, და მასობრივი ტვირთების გადასაზიდავად სატრანზიტო-სანაოსნო გზის შექმნისათვის.

ომმა შეწყვიტა დაწყებული მშენებლობა.

გაითვალისწინა რა ვოლგა-დონის სანაოსნო გზის შექმნის დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა და ამასთან ის გარემოება, რომ ეს მშენებლობა საშუალებას იძლევა ფართოდ განვითარდეს როსტოვისა და სტალინგრადის ოლქების ნახევრადუდაბნო და გვალვიანი რაიონების მორწყვა და წყლით უზრუნველყოფა, სამი წლის წინათ მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება კვლავ დაიწყოს ვოლგა-დონის არხის მშენებლობის სამუშაოები. ამასთან მთავრობა ითვალისწინებდა, რომ ვოლგა-დონის სანაოსნო არხის გაყვანა კერძო და სამხარეო ამოცანა კი არ არის, არამედ საერთო-საკავშირო მნიშვნელობის ამოცანაა, რომლის მიზანია სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ყველა ზღვის ერთ სანაოსნო-სატრანსპორტო სისტემად შეერთება".

ვოლგა-დონის სანაოსნო არხი ჩვენი დროის დიადი მშენებლობაა. ამ სანაოსნო არხისა და სარწყავი არხების ქსელის მშენებლობა თვალსაჩინო როლს შეასრულებს ვრცელი მხარის სოციალისტური ეკონომიკის შემდგომ განვითარებასა და ბუნების გარდაქმნაში.

ვოლგა-დონის სანაოსნო გზის საექსპლოატაციოდ გადაცემის დაჩქარებისა და როსტოვისა და სტალინგრადის ოლქების ნახევრადუდაბნო და გვალვიანი მიწების მორწყვისა და წყლით უზრუნველყოფის განვითარების მიზნით, აგრეთვე სამშენებლო სამუშაოთა წარმატებით გაშლისა და ვოლგადონმშენის მძლავრი ექსკავატორებით, სამშენებლო მექანიზმებითა და სატრანსპორტო საშუალებებით მაღალი აღჭურვილობის გათვალისწინებით, რაც საშუალებას იძლევა სავსებით მექანიზებულ იქნას მიწისა და ბეტონის სამუშაოები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა ორი წლით შეამციროს ვოლგა-დონის სანაოსნო გზის შექმნისათვის წინათ დაწესებული ვადა.

1951 წელს დამთავრდება ისეთ უდიდეს ნაგებობათა მშენებლობა, როგორიცაა:

— ვოლგა-დონის 101 კილომეტრი სიგრძის სანაოსნო არხი, რომელიც მდინარე ვოლგას შეაერთებს მდინარე დონთან ქალაქ სტალინგრადიდან ქალაქ დონის კალაჩამდე მდებარე რაიონში, რომელსაც ექნება 13 რაბი, სამი კამხალი, სატუმბავი სადგურები, ნავმისადგომები, ხიდები და სხვა ნაგებობანი;

— დონის ჰიდროკვანძი სტანიცა ციმლიანსკაიას რაიონში 12,6 მილიარდი კუბური მეტრი მარგი მოცულობის მარეგულირებელი წყალსაცავით და 500 მეტრი სიგრძის ბეტონის წყალსაშვები კამხალით;

— დადგენილი 160 ათასი კილოვატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური ციმლიანსკაიას ჰიდროკვანძის კამხალთან, სარწყავი მიწათმოქმედებისა და მრეწველობის რაიონების იაფი ელექტროენერგიით მოსამარაგებლად.

1952 წლის გაზაფხულიდან ვოლგა-დონის სანაოსნო არხი და ციმლიანსკაიას ჰიდროკვანძი ჰიდროელექტროსადგურიანად გადაეცემა საექსპლოატაციოდ.

მთავრობის დადგენილების შესაბამისად 1951-1956 წლებში განხორციელდება სარწყავი სისტემების მშენებლობა 750 ათასი ჰექტარი მიწის მოსარწყავად და ორი მილიონი ჰექტარი მიწის წყლით უზრუნველსაყოფად მდინარე დონის წყლის რესურსების ბაზაზე, აქედან როსტოვის ოლქში 600 ათასი ჰექტარის მორწყვა და 1 მილიონი ჰექტარის წყლით უზრუნველყოფა, სტალინგრადის ოლქის სამხრეთ რაიონებში — 150 ათასი ჰექტარის მორწყვა და 1 მილიონი ჰექტარის წყლით უზრუნველყოფა.

მორწყვის პროგრამის შესასრულებლად იქმნება უდიდესი ჰიდროტექნიკური ნაგებობანი. 190 კილომეტრი სიგრძის დონის მაგისტრალური არხი 568 კილომეტრი სიგრძის განმანაწილებელი არხები, სატუმბავი სადგურები, წყლით უზრუნველსაყოფი და სარწყავი ქსელი უზრუნველყოფენ წყლის მიწოდებას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებისათვის, შექმნიან უხვი და მყარი მოსავლის მიღების პირობებს.

კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები შესაძლებლობას მიიღებენ ფართოდ გამოიყენონ ელექტროენერგია ხვნასა და მინდვრის სხვა სამუშაოებში, გამოიყენონ ელექტროენერგია მეცხოველეობასა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვა დარგებში შრომატევადი პროცესების კომპლექსური მექანიზაციისათვის.

საბჭოთა მთავრობის დადგენილება საბჭოთა სახელმწიფოს ძალისა და მისი მშვიდობისმოყვარე პოლიტიკის ახალი ბრწყინვალე გამოხატულებაა. წინსვლა მშვიდობისა და პროგრესის გზით, ბუნების ჯერ კიდევ დაუმორჩილებელი ძალების ჩაყენება ადამიანის სამსახურში, სამშობლოს კეთილდღეობისათვის, ხალხის კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის შენება — ასეთია სოციალისტური საზოგადოების განვითარების კანონი. მსოფლიოში უდიდესი კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის შემდეგ—სტალინგრადის გრანდიოზული ჰიდროელექტროსადგური. შემდეგ — თურქმენეთის მთავარი არხი, კახოვკის ჰიდროელექტროსადგური, სამხრეთ უკრაინისა და ჩრდილოეთ ყირიმის არხები. დღეს ჩვენი სამშობლოს რუკაზე აღინიშნება კიდევ ერთი დიადი მშენებლობა— ვოლგა-დონის სანაოსნო არხი და როსტოვის ოლქისა და სტალინგრადის ოლქის სამხრეთ რაიონებში სარწყავი არხების ქსელი.

კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და მთელი ჩვენი ხალხის ღონისძიებანი მიმართულია კომუნიზმის მშენებლობის იმ გენიალური პროგრამის განხორციელებისაკენ, რომელიც ამხანაგმა სტალინმა დასახა 1946 წლის თებერვალში ამომრჩეველთა კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში. ამ დიად საქმეს ახმარს თავის შემოქმედებითს შრომას, თავის გონებასა და ნიჭს, თავის დაუშრეტელ ენერგიას ჩვენი გმირი ხალხი, შემოქმედი ხალხი, მშენებელი ხალხი.

საბჭოთა წყობილებამ, რომელიც ყველაზე მოწინავე საზოგადოებრივი წყობილებაა, გამოავლინა ხალხში ნიჭის უშრეტი წყარო, დარაზმა მშრომელთა მილიონიანი მასები ისტორიული შემოქმედებისათვის.

„... ჩვენი წყობილება, საბჭოთა წყობილება, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — **სწრაფი წინსვლის ისეთ შესაძლებლობებს გვაძლევს, რომლებზეც ოცნებაც კი არ შეუძლია არც ერთ ბურჟუაზიულ ქვეყანას".**

ჩვენი სამშობლოს თვალსაჩინო წარმატებანი მშვიდობიანი მშენებლობის ფრონტზე მჭევრმეტყველურად ადასტურებენ დიდი სტალინის ამ სიტყვებს. საბჭოთა ხალხმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით შეასრულა ომისშემდგომი ხუთწლედის ძირითადი ამოცანები და ყველა პირობა შექმნა ჩვენი ქვეყნის უფრო სწრაფი წინსვლისათვის. საბჭოთა ადამიანები აღფრთოვანებით ახორციელებენ ბუნების გარდაქმნის სტალინურ გეგმას. გიგანტური ჰიდროელექტროსადგურებისა და არხების მშენებლობა საბჭოთა ხალხის ახალი უდიდესი ნაბიჯია კომუნიზმისაკენ მიმავალ გზაზე.

ჩვენი საბჭოთა სამშობლოსადმი მოპყრობილია მთელი პროგრესული კაცობრიობის თვალი. სსრ კავშირში ძლევამოსილი კომუნისტური მშენებლობა აღმაფრთოვანებელი მაგალითია სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელთათვის, რომლებიც სოციალიზმის მშენებლობის გზას დაადგნენ. მთელი მსოფლიოს მშრომელები მიესალმებიან საბჭოთა ქვეყანას, რომელიც მშვიდობიან მშენებლობას ეწევა. ისინი საბჭოთა კავშირის სახით ხედავენ მშვიდობის ურყევ ბურჯს. გულისწყრომითა და სიძულვილით ილაშქრებენ მშვიდობისმოყვარე ხალხები ამერიკელი და ინგლისელი იმპერიალისტების ხრიკების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ გააჩაღონ ახალი ომის ხანძარი.

სსრ კავშირის მშრომელები აღფრთოვანებით ახმარენ თავიანთ ძალას მშვიდობიან შრომას, სულ უფრო ფართოდ აჩაღებენ მშვიდობიან მშენებლობას. ამასთან ერთად საბჭოთა ქვეყნის ხალხები აძლიერებენ თავიანთ სიფხიზლეს აგრესიულ სახელმწიფოთა მიმართ, განსაკუთრებით კი ყველა მათი საერთაშორისო ხრიკების მიმართ.

საბჭოთა მთავრობის ისტორიულ გადაწყვეტილებას ვოლგა-დონის სანაოსნო არხის მშენებლობისა და როსტოვისა და სტალინგრადის ოლქების მიწების მორწყვის შესახებ მთელი საბჭოთა ხალხი შეხვდება უდიდესი სიხარულით, როგორც ჩვენი სამშობლოს აყვავებისათვის, კომუნიზმის მშენებელი ხალხის კეთილდღეობისათვის სტალინური მზრუნველობის ახალ გამოვლინებას.

„პრავდის" 28/XII მოწინავე

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

ვოლგა-დონის სანაოსნო არხის მშენებლობისა და როსტოვისა და სტალინგრადის ოლქების მიწების მორწყვის შესახებ

ჯერ კიდევ ომამდე დაიწყო ვოლგა-დონის სანაოსნო არხის მშენებლობა. ვოლგისა და დონის შეერთებით უნდა დამთავრებულიყო უდიდესი სამუშაოები, რაც საბჭოთა ხელისუფლების წლებში განხორციელდა იმ სანაოსნო გზების რეკონსტრუქციისა და მშენებლობისათვის, რომლებიც თეთრ, ბალტიისა და კასპიის ზღვებს შეაერთებენ აზოვისა და შავ ზღვასთან, და მასობრივი ტვირთების გადასაზიდავად სატრანზიტო-სანაოსნო გზის შექმნისათვის.

ომმა შეწყვიტა დაწყებული მშენებლობა.

გაითვალისწინა რა ვოლგა-დონის სანაოსნო გზის შექმნის დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა და ამასთან ის გარემოება, რომ ეს მშენებლობა საშუალებას იძლევა ფართოდ განვითარდეს როსტოვისა და სტალინგრადის ოლქების ნახევრადუდაბნო და გვალვიანი რაიონების მორწყვა და წყლით უზრუნველყოფა, სამი წლის წინათ მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება კვლავ დაიწყოს ვოლგა-დონის არხის მშენებლობის სამუშაოები. ამასთან მთავრობა ითვალისწინებდა, რომ ვოლგა-დონის სანაოსნო არხის გაყვანა კერძო და სამხარეო ამოცანა კი არ არის, არამედ საერთო-საკავშირო მნიშვნელობის ამოცანაა, რომლის მიზანია სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ყველა ზღვის ერთ სანაოსნო-სატრანსპორტო სისტემად შეერთება.

ვოლგა-დონის სანაოსნო გზის საექსპლოატაციოდ გადაცემის დაჩქარების და როსტოვისა და სტალინგრადის ოლქების ნახევრადუდაბნო და გვალვიანი მიწების მორწყვისა და წყლით უზრუნველყოფის განვითარების მიზნით, აგრეთვე გაითვალისწინა რა სამშენებლო სამუშაოთა წარმატებით გაშლა და ვოლგადონმშენის მძლავრი ექსკავატორებით, სამშენებლო მექანიზმებითა და სატრანსპორტო საშუალებებით დიდი აღჭურვილობა, რაც საშუალებას იძლევა მთლიანად მექანიზებულ იქნას მიწისა და ბეტონის სამუშაოები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა:

1. ორი წლით შემცირდეს ვოლგა-დონის სანაოსნო გზის შექმნისათვის წინათ დაწესებული ვადა და 1951 წელს დამთავრდეს მშენებლობა:

ა) ვოლგა-დონის 101 კილომეტრი სიგრძის სანაოსნო არხისა, რომელიც მდინარე ვოლგას შეაერთებს მდინარე დონთან ქალაქ სტალინგრადიდან ქალაქ დონის კალაჩამდე მდებარე რაიონში და რომელსაც ექნება 13 რაბი, 3 კამხალი, სატუმბავი სადგურები, ნავმისადგომები, ხიდები და სხვა ნაგებობანი;

ბ) დონის ჰიდროკვანძისა სტანიცა ციმლიანსკაიას რაიონში, რომელსაც ექნება 12,6 მილიარდი კუბმეტრი მარგი მოცულობის მარეგულირებელი წყალსაცავი, რომლის შემადგენლობაში იქნება 500 მეტრი სიგრძის ბეტონის წყალსაშვები კამხალი, 12,8 კილომეტრი სიგრძის მიწის კამხალი, ორი სანაოსნო რაბი, სამდინარო ნავსადგური და კამხალზე მაგისტრალური რკინიგზისა და გზატკეცილის გადასასვლელები;

გ) დადგენილი 160 ათასი კილოვატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურისა ციმლიანსკაიას ჰიდროკვანძის კამხალთან, სარწყავი მიწათმოქმედებისა და მრეწველობის რაიონებისათვის იაფი ელექტროენერგიის მისაწოდებლად.

2. ვოლგა-დონის სანაოსნო არხი და ციმლიანსკაიას ჰიდროკვანძი ჰიდროელექტროსადგურიანად საექსპლოატაციოდ გადაცემულ იქნას 1952 წლის გაზაფხულიდან.

3. განხორციელდეს 1951-1956 წლებში სარწყავ სისტემათა მშენებლობა 750 ათასი ჰექტარი მიწის მოსარწყავად და ორი მილიონი ჰექტარი მიწის წყლით უზრუნველსაყოფად მდინარე დონის წყლის რესურსების ბაზაზე, მათ შორის როსტოვის ოლქში — 600 ათასი ჰექტარის მოსარწყავად და 1 მილიონი ჰექტარის წყლით უზრუნველსაყოფად, სტალინგრადის ოლქის სამხრეთ რაიონებში — 150 ათასი ჰექტარის მოსარწყავად და 1 მილიონი ჰექტარის წყლით უზრუნველსაყოფად. სარწყავი მიწები პირველ რიგში გამოყენებულ იქნას ხორბლისა და ბამბის დასათესად.

აღნიშნული მიზნით უზრუნველყოფილ იქნას მშენებლობა:

ა) 190 კილომეტრი სიგრძის დონის მაგისტრალური არხისა ციმლიანსკაიას წყალსაცავიდან პროლეტარსკაიას სადგურამდე ციმლიანსკაიას წყალსაცავიდან წყლის მისაღები სათავის ნაგებობით;

ბ) 568 კილომეტრი საერთო სიგრძის განმანაწილებელი არხებისა, სახელდობრ 125 კილომეტრი სიგრძის **ვერხნე-სალსკის არხისა,** რისთვისაც გამოყენებულ იქნას მდინარე სალის კალაპოტი სოფელ მალაია მარტინოვკიდან მდინარე გაშუნის შესართავამდე დონის მაგისტრალური არხიდან წყლის მიღებით, კამხალებითა და სატუმბავი სადგურებით მდინარე სალის აყოლებით წყლის მისაწოდებლად;

73 კილომეტრი სიგრძის **ქვემო დონის არხისა** დაბა ვოსხოდიდან სტანიცა სენიკარაკორსკაიას მიმართულებით, რომელიც წყალს მიიღებს დონის მაგისტრალური არხიდან;

35 კილომეტრი სიგრძის **ბაგაევსკის არხისა** დაბა კომაროვიდან სტანიცა ბაგაევსკაიას მიმართულებით, რომელიც წყალს მიიღებს დონის მაგისტრალური არხიდან;

15 კილომეტრი სიგრძის **სადკოვსკის არხისა** დაბა ბოლოტოვიდან სოფელ მანიჩ ბალაბინსკამდე, რომელიც წყალს მიიღებს დონის მაგისტრალური არხიდან;

90 კილომეტრი სიგრძის **აზოვის არხისა** დაბა ვესიოლიდან სოფელ კულეშოვკამდე, რომელიც წყალს მიიღებს ვესიოლის წყალსაცავიდან;

140 კილომეტრი სიგრძის **ერგენინის არხისა** ვარვაროვკის წყალსაცავიდან სოფელ ობილნოეს მიმართულებით, რომელიც წყალს მიიღებს ვოლგა-დონის სანაოსნო არხიდან;

90 კილომეტრი სიგრძის **ჩირსკის არხისა** სტანიცა ნიჟნე-ჩირსკაიადან სოფელ კრასნო-ბოგდანოვის მიმართულებით, რომელიც წყალს მიიღებს ციმლიანსკაიას წყალსაცავიდან;

გ) 140 სატუმბავი სადგურისა განმანაწილებელ არხებზე და მათი ელექტროგადაცემის ხაზებისა;

დ) სარწყავი და წყლით უზრუნველსაყოფი ქსელისა, რომელიც წყალს მიიღებს განმანაწილებელი არხებიდან 750 ათასი ჰექტარი მიწის მოსარწყავად და 2 მილიონი ჰექტარის წყლით უზრუნველსაყოფად.

4. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მებამბეობის სამინისტროს და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს:

ა) უზრუნველყონ სარწყავი და წყლით უზრუნველსაყოფი მიწების საექსპლოატაციოდ გადაცემა შემდეგი რაოდენობით წლების მიხედვით:

წლები	მოსარწყავი ფართობი ათას ჰექტარობით	წყლით უზრუნველსაყოფი ფართობი ათას ჰექტარობით
1952	100	100
1953	125	250
1954	125	250
1955	200	500
1956	200	900

ბ) უზრუნველყონ ელექტროენერგიის ფართო გამოყენება სოფლის მეურნეობაში ხვნის დროს და ელექტროტრაქტორებით სხვა სამუშაოთა შესრულების დროს მემინდვრეობაში, აგრეთვე ელექტროენერგიის გამოყენება მეცხოველეობის და საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების წარმოების სხვა დარგების შრომატევად სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციისათვის.

5. დაევალოს „ჰიდროპროექტს" დონის მაგისტრალური არხის და მიწების სარწყავი და წყლით უზრუნველსაყოფი ყველა განმანაწილებელი არხის, ამ არხებზე სატუმბავი სადგურების და სხვა ნაგებობების და მარეგულირებელ წყალსაცავებზე კამხალებისა და ნაგებობების ძიება, კვლევა და დაპროექტება, ხოლო ვოლგადონმშენს — მათი მშენებლობა.

6. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მებამბეობის სამინისტროს და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს სარწყავი, წყლით უზრუნველსაყოფი ქსელისა და იქ საჭირო ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა ძიება, დაპროექტება და მშენებლობა.

7. წინადადება მიეცეს სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს სარწყავი და წყლით უზრუნველსაყოფი ქსელის მშენებლობასთან ერთად აწარმოონ მინდორსაცავი ტყეების გაშენება.

მეცნიერები სწავლობენ სტახანოველთა მუშაობას

ლენინგრადი, 25 დეკემბერი. (საკდესი). ძვირფასი ინიციატივა გამოიჩინა ვ. მ. მოლოტოვის სახელობის საინჟინრო-ეკონომიური ინსტიტუტის კოლექტივმა. გამოიყენეს რა ინჟინერ თ. კოვალიოვის მეთოდი, მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის კათედრამ და სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებამ მოაწყეს საუკეთესო სტახანოველთა მუშაობის ხერხების შესწავლა და შერჩევა.

სტუდენტთა ჯგუფი ასისტენტ ა. პ. კოლოტუშკინის ხელმძღვანელობით ერთი თვის განმავლობაში მუშაობდა ქარხანა „ეკონომაიზერში" უშუალოდ დაზგასთან, სადაც შრომობს წარჩინებული ხეინკალი-მეინსტრუმენტე ი. პ. კარტაშოვი. სტუდენტები განუწყვეტლივ აკვირდებოდნენ ნოვატორის მუშაობის ხერხებს, არჩევდნენ მათგან საუკეთესოს, ანგარიშობდნენ მათს ტექნიკურ-ეკონომიურ ეფექტიანობას. ამის შემდეგ ამხ. კარტაშოვმა ლექცია წაიკითხა ინსტიტუტში. ნოვატორმა უამბო დამსწრეთ თავისი შრომის მეთოდებზე, რომლებიც იძლევიან წარმოებაში „ვიწრო" ადგილების ლიკვიდაციის, შრომატევადი ოპერაციების მექანიზაციის შესაძლებლობას, მის მიერ შექმნილ მოწყობილობებზე.

ასეთივე გზით შეისწავლეს სტალინის სახელობის ქარხანაში უმაღლესი სასწავლებლის მეცნიერებმა სტალინური პრემიის ლაურეატის მჭედელ ა. ნ. რიაბოვის მუშაობის მეთოდები. ამხ. რიაბოვმა ინსტიტუტში წაიკითხა ლექცია ჭედვის პროგრესულ მეთოდებზე, რომლებსაც იგი იყენებს. ამჟამად მიმდინარეობს კიროვის სახელობის, მეორე ხუთწლედის სახელობის, კარლ მარქსის სახელობის და სხვა ქარხნების საუკეთესო სტახანოველთა გამოცდილების სა-ზოგადოება, სტუდენტთა II ბრიგადა უმაღლესი სასწავლებლის მეცნიერთა ხელმძღვანელობით საწარმოებში ფართოდ ავრცელებს ნოვატორთა მეთოდებს.

მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის კათედრა, რომელსაც დოცენტი პ. ვ. კამნევი მეთაურობს, აწყობს კონფერენციას წარმოების მუშაკთა მონაწილეობით. კონფერენცია შეაჯამებს სტახანოვური შრომის საუკეთესო ხერხების შესწავლის პირველ შედეგებს.

ი. ბ. სტალინის სახელობის პროსპექტი ლენინგრადში

ლენინგრადი. (საკდესი). მშრომელთა დეპუტატების ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა, გაითვალისწინა რა ქალაქ ლენინგრადის მშრომელთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა სურვილი და მრავალი თხოვნა, მიიღო გადაწყვეტილება, რომ საერთაშორისო პროსპექტს და მის გაგრძელებას — მოსკოვის გზატკეცილის ქუჩას — დაერქვას ი. ბ. სტალინის სახელობის პროსპექტი.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეექვსე ტომი უზბეკურ ენაზე

ტაშკენტი, 27 დეკემბერი. (საკდესი). უზბეკეთის სსრ სახელმწიფო გამომცემლობამ უზბეკურ ენაზე გამოსცა ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეექვსე ტომი.

თარგმანი შეასრულა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის უზბეკეთის ფილიალმა.

საბჭოთა მეცნიერების თავდადებული შრომის წელიწადი

საუბარი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტ აკადემიკოს ი. პ. ბარდინთან

თვალს გადაავლებენ რა იმ გზას, რაც საბჭოთა მეცნიერებამ 1950 წელს განვლო, ჩვენი ქვეყნის მეცნიერები სიამაყით აღნიშნავენ ცოდნის ყველა დარგში მიღწეულ მნიშვნელოვან წარმატებებს. საბჭოთა მეცნიერებამ, რომელიც გარემოსილია პარტიის, მთავრობის და მთელი პროგრესული კაცობრიობის დიდი ბელადის, მეცნიერების კორიფეს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის მზრუნველობითა და ყურადღებით, თავისი პატრიოტული წვლილი შეიტანა მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლაში, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

მშვიდობიანი მშენებლობის ყველა უბანზე საბჭოთა მეცნიერების წარმატება განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს კაპიტალისტური ქვეყნების კულტურისა და მეცნიერების დაკნინების ფონზე. იქ ახალი ომის გამჩაღებლები ამერიკელი იმპერიალისტების მეთაურობით ბარბაროსული აგრესიის მიზნით და კაცობრიობის საულეტად იყენებენ მეცნიერებასა და ტექნიკას.

სავსებით აშკარაა, რომ სოციალისტური მშენებლობის გრანდიოზული წარმატებანი წარმოუდგენელია, თუ ჩვენს ქვეყანაში ფართოდ არ განვითარდა მეცნიერული მუშაობა. საბჭოთა მეცნიერებამ ხელი შეუწყო ჩვენი სამშობლოს საწარმოო ძალების უმაგალითო აყვავებას, მიწის წიაღის ახალი აურაცხელი სიმდიდრის აღმოჩენას, ხელი შეუწყო სოციალისტური მიწათმოქმედების შემდგომ ზრდას.

მარქსისტულ-ლენინური თეორიით გამდიდრებული საბჭოთა მეცნიერება თავის განვითარებაში ახალ-ახალ წარმატებას აღწევს. ჩვენ, საბჭოთა მეცნიერების მოღვაწეებს, მტკიცედ გვაქვს შეგნებული, რომ ამ განსაკუთრებულ წარმატებებს უწინარეს ყოვლისა უნდა ვუმადლოდეთ ამხანაგ ი. ბ. სტალინს, რომელიც ყოველდღიურად წარმართავს მეცნიერების განვითარებას, ეხმარება მეცნიერებს, უნერგავს მათ შემოქმედების სულისკვეთებას, აღუძრავს ხალხის საკეთილდღეოდ ახალ წარმატებათა მოპოვების მუდმივ წყურვილს.

1950 წლის ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო ენათმეცნიერების საკითხებზე ამხანაგ ი. ბ. სტალინის გენიალური შრომების გამოქვეყნება. ჩვენი ბელადისა და მასწავლებლის ეს შრომები სახელმძღვანელო საფუძველს წარმოადგენენ საბჭოთა მეცნიერების ყველა დარგის განვითარებისათვის.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი წელიწადი არ ყოფილა ისე აღსავსე უდიდესი მოვლენებით მეცნიერების დარგში, როგორც 1950 წელი. იმ დისკუსიების შედეგად, რომლებმაც მეცნიერთა საზოგადოებრიობის უაღრესად ფართო წრეები მოიცვა, მეცნიერების ყველა დარგში შემოქმედებითი მარქსიზმის გამოყენებისათვის ბრძოლას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა მიენიჭა. საბჭოთა მეცნიერები დგანან გახრწნილი ბურჟუაზიული იდეოლოგიის და მეცნიერების წინააღმდეგ მებრძოლთა პირველ რიგებში, რომელიც ბნელეთისმოციქულობას და ახალი ომის გაჩაღებას ემსახურება. ი. პ. პავლოვის მოძღვრების პრობლემებზე, ბიოლოგიისა და მედიცინის, პედაგოგიკის ცენტრალურ საკითხებზე გამართულმა დისკუსიებმა, სიცოცხლის უჯრედგარეშე ფორმებზე პროფესორ ო. ბ. ლეპეშინსკაიას წელს დამთავრებულმა შრომამ უმაღლეს საფეხურზე აიყვანა ჩვენი ბიოლოგიური მეცნიერება, განამტკიცა მისი შემოქმედებითი კავშირი კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან.

პრაქტიკასთან კავშირი საბჭოთა მეცნიერების გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი, მისი ძირითადი მიზანი გახდა. ამასთანავე დიდად განვითარდა თეორიული კვლევა ცოდნის ყველა დარგში.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის 1951 წლის გეგმებით დასახულია აგრეთვე დიდი მუშაობა თანამედროვე მეცნიერების მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს პრობლემათა დარგში—ნივთიერების აღნაგობის, ძალოვანი არეების თეორიის, სამყაროს წარმოშობის, მემკვიდრეობითობისა და მისი ცვალებადობის, ამინდისა და მიწისძვრის პროგნოზის დარგში.

ბევრი რამ უნდა გაკეთდეს საზოგადოების შესახებ მეცნიერების დარგში. უნდა გამოქვეყნდეს შრომები ჩვენი სამშობლოს, საბჭოთა ლიტერატურის ისტორიაში, აგრეთვე მეცნიერების კლასიკოსთა აკადემიური გამოცემები.

საბჭოთა მეცნიერები თავიანთი ხალხისადმი, სამშობლოსადმი და ხალხთა დიდი ბელადის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინისადმი სიყვარულისა და უსაზღვრო ერთგულების მხურვალე გრძნობით გამსჭვალულნი ეგებებიან 1951 წელს. ეყრდნობიან რა 1950 წელს მიღწეულ წარმატებებს, საბჭოთა მეცნიერები, რომლებსაც აღაფრთოვანებს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული პროგრამა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვის კეთილშობილური ამოცანა, გააძლიერებენ თავდადებულ შრომას სამშობლოს სასახელოდ. (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

ჩაის პლანტაციებში შემოდგომა-ზამთრის სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ, მიუხედავად ამინდის ხელსაყრელი პირობებისა, ჩაის პლანტაციებში შემოდგომა-ზამთრის სამუშაოები არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებში ჩაის პლანტაციების გაშენების გეგმა მიმდინარე წლის 15 დეკემბრისათვის შესრულებულია 68,9 პროცენტით, ნიადაგის მომზადებისა — 96,3 პროცენტით, ნიადაგის გადაბარვისა — 41,5 პროცენტით, ახალი სადრენაჟო ქსელის გაყვანისა — 9 პროცენტით, ხოლო არსებული ქსელის რემონტისა — 15 პროცენტით. საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის საბჭოთა მეურნეობებში ჩაის პლანტაციების გაშენების გეგმა შესრულებულია 76,9 პროცენტით, გადაბარვისა — 43 პროცენტით, ფოსფოროვანი სასუქების შეტანისა — 29,5 პროცენტით და სადრენაჟო არხების რემონტისა — 58 პროცენტით.

ძლიერ ჩამორჩენილია აგრეთვე ჩაის თესლის შეგროვება და დამზადება. გეგმით გათვალისწინებული 1.200 ტონის ნაცვლად დამზადებულია 781 ტონა თესლი ანუ 65 პროცენტი.

შემოდგომა-ზამთრის სამუშაოთა შესრულებაში მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან: სამტრედიის რაიონის კოლმეურნეობები, რომლებმაც ჩაის პლანტაციების გაშენების გეგმა შეასრულეს 35 პროცენტით, ნიადაგის მომზადებისა — 88,6 პროცენტით, წალენჯიხის რაიონის კოლმეურნეობები, რომლებმაც ნიადაგის მომზადების გეგმა შეასრულეს 77,3 პროცენტით, ჩაის თესლის დამზადებისა — 42 პროცენტით, ჭიათურის რაიონის კოლმეურნეობები, რომლებმაც ჩაის პლანტაციების გაშენების გეგმა შეასრულეს 20 პროცენტით, ნიადაგის მომზადებისა — 86,3 პროცენტით.

ფოსფოროვანი სასუქების შეტანას არ შესდგომიან ლანჩხუთის, წულუკიძის, თერჯოლისა და აბაშის რაიონების კოლმეურნეობები.

შემოწმებამ გამოარკვია ჩაის პლანტაციების გაშენებასა და დამუშავებაში აგროტექნიკური წესების დარღვევის ფაქტები.

მაგალითად, სამტრედიის რაიონის 1 მაისის სახელობის კოლმეურნეობაში ჩაის პლანტაციების გასაშენებლად ნიადაგს ამზადებდნენ 18-20 სანტიმეტრ სიღრმეზე, ნაცვლად 45 სანტიმეტრისა, ხოლო ჩაის პლანტაციების გაშენებას აწარმოებდნენ კონტურული დაგეგმვის გარეშე.

ამავე რაიონის სოფელ ნოღის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობაში ჩაის პლანტაციები 5 ჰექტარ ფართობზე ისე გააშენეს, რომ ნიადაგი წინასწარ არ გაუფხვიერებიათ და არ მოუსწორებიათ.

თერჯოლის რაიონის სოფელ ეწერის კალინინის სახელობისა და ბერიას სახელობის კოლმეურნეობებში და სოფელ სიმონეთის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობაში ჩაის პლანტაციები გაშენებულია ფესვებისაგან ცუდად გაწმენდილ და გაუფხვიერებელ ნიადაგზე.

წულუკიძის, წყალტუბოს, წალენჯიხისა და გეგეჭკორის რაიონების კოლმეურნეობები დღემდე არ შესდგომიან ცოცხალი ღობეებისა და ქარსაცავი ზოლების გაშენებას, ახალი სადრენაჟო არხების მოწყობასა და არსებული არხების რემონტს.

გამოკვლეული რაიონების ბევრ კოლმეურნეობაში ჩაის პლანტაციების ცალკეული ნაკვეთები შემოღობილი არ არის, რის გამო ჩაის ბუჩქებს პირუტყვი აფუჭებს.

ჩაის ცალკეულ რაიონებს დროულად არ გააქვთ მინერალური სასუქები ტექკულტმომარაგების საწყობებიდან. მინერალური სასუქების ნაწილი გარეთ ყრია და ფუჭდება. განსაკუთრებით ცუდად გააქვთ სასუქები ბათუმის, ქობულეთის, ლანჩხუთის, მახარაძის, ჩოხატაურის, წულუკიძის, ზუგდიდის, წალენჯიხის, გეგეჭკორის, ხობისა და გალის რაიონების კოლმეურნეობებს.

ჩაის პლანტაციებში შემოდგომა-ზამთრის სამუშაოთა ჩამორჩენის ლიკვიდაციის მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინეს:

1. დაევალოს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, ჩაის რაიონების რაიაღმასკომებს, საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო და რაიონულ კომიტეტებს და საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტს:

ა) მოაწყონ კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა მასობრივი გასვლა შემოდგომა-ზამთრის სამუშაოებზე, ყოველ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში დააწესონ ჩაის პლანტაციების დამუშავების ხუთდღიური დავალებანი, ხოლო ბრიგადებისა და რგოლებისათვის — ყოველდღიური დავალებანი და უზრუნველყონ ამ დავალებათა უთუოდ შესრულება დადგენილ ვადებში;

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ჩაის პლანტაციების ნიადაგის გადაბარვის ხარისხს, უზრუნველყონ ფოსფოროვანი და კალიუმის სასუქების აუცილებლად შეტანა აგროტექნიკურ ვადებში;

ბ) უახლოეს დღეებში დაამთავრონ ჩაის ახალი პლანტაციების გაშენების სამუშაოები და უზრუნველყონ ნიადაგის მაღალხარისხოვანი მომზადება;

გ) მოაწყონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ ტექკულტმომარაგების საწყობებიდან მინერალური სასუქების გატანა, რისთვისაც მაქსიმალურად გამოიყენონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არსებული საჭაპანო და ავტოტრანსპორტი, აგრეთვე ტექკულტტრანსის ავტომანქანები;

დ) უზრუნველყონ ჩაის ყველა პლანტაციაში არსებული სადრენაჟო ქსელის რემონტი და გაწმენდა და ახალი ქსელის გაყვანა საჭიროების მიხედვით;

ე) მიაღწიონ ქარსაცავი ზოლებისა და ცოცხალი ღობის გაშენების გეგმის უთუოდ შესრულებას და ამ სამუშაოს ჩასატარებლად კოლმეურნეობებში საჭირო რაოდენობით გამოჰყონ კოლმეურნენი;

ვ) 1951 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყონ ჩაის თესლის შეგროვებისა და დამზადების გეგმის შესრულება, არ დაუშვან დანაკარგები, აგრეთვე მოაწყონ თესლის წესიერად შენახვა;

ზ) უზრუნველყონ ჩაის პლანტაციების შემოღობვა, ხოლო დიდ მასივებზე მოაწყონ მათი დაცვა, არ დაუშვან ჩაის ბუჩქების გაფუჭება პირუტყვის მიერ.

2. დაევალოს პარტიის სამტრედიის რაიკომის მდივანს ამხ. ნიშნიანიძეს, აბაშის რაიკომის მდივანს ამხ. ებრალიძეს და თერჯოლის რაიკომის მდივანს ამხ. გოგიაშვილს დაუყოვნებლივ აღმოფხვრან ჩაის პლანტაციების დამუშავების აგროტექნიკური წესების დარღვევის ფაქტები და სასტიკ პასუხისგებაში მისცენ ამ საქმეში დამნაშავე პირები.

3. დაევალოს ჩაის რაიონების რაიაღმასკომებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებს და საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების სამინისტროს სისტემატურად შეამოწმონ ჩაის პლანტაციებში შემოდგომა-ზამთრის სამუშაოთა მიმდინარეობა და მიიღონ სათანადო ზომები ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

კოლხიდმშენის კოლექტივის წარმატება

ფოთი. (სპეც. კორ.). კოლხიდმშენის კოლექტივი (უფროსი ამხ. ლ. კიკნაძე) წარმატებით ამთავრებს მიმდინარე სამეურნეო წელს. მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული იყო 20.000 ჰექტარი მიწის ამოშრობა. 1950 წლის 1 იანვრისათვის ამოშრობილი იყო 14.000 ჰექტარი. წელს კოლხიდმშენებლებმა ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება, ამოაშრეს 6.100 ჰექტარი და ამით ხუთწლიანი გეგმა შეასრულეს. ამას გარდა საექსპლოატაციოდ გადაცემულია 166 კილომეტრი ყამირისა და ხრეშის გზები.

საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში წყალთა მეურნეობის ობიექტებს შორის კოლხიდმშენს მეორე და მესამე კვარტალში მიეკუთვნა მეორე პრემია 45.000 მანეთის რაოდენობით.

რაციონალიზატორულ წინადადებათა განხორციელებით კოლხიდმშენის კოლექტივმა სახელმწიფოს მისცა ნახევარი მილიონი მანეთის ეკონომია, შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 7,5 პროცენტით. სამუშაოთა ვადამდე და მაღალხარისხოვნად შესრულებაში თავი გამოიჩინა ქვალონის უბანმა (უფროსი ამხ. მ. შუბლაძე, მთავარ სამუშაოთა მწარმოებელი ნ. გრიგოლია). ავტომძღოლებმა ამხ. თ. ნევედროვის მეთაურობით 100.000 კილომეტრი გაიარეს კაპიტალური რემონტის გაუკეთებლად. მიწის მთხრელებმა გ. ჩიტიანმა, ნ. ძიუბამ, პ. ბობროვმა და სხვებმა დავალება 225-250 პროცენტით გაანაღდეს. ასეთივე წარმატებები აქვთ დურგლებს ამხ. ოსტრიკოვს, ი. მარდიასოვს, მებეტონეებს: დ. ჩერნოვს, თ. ბერეზნევს, ხ. შეროზიას. სამეურნეო წელი სასახელოდ დაამთავრეს ექსკავატორებზე და მიწისმწოვებზე მომუშავე ბრიგადირებმა მ. ალანიამ და ვ. კიპურჰაძემ. ამ სამუშაოებს ენერგიულად ხელმძღვანელობდნენ ინჟინრები გ. ჯაფარიძე, გ. სერბინა, მ. დიდენკო და სხვები.

ახლა კოლხიდმშენის კოლექტივი ჩაბმულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ენერგიულად იბრძვის 1951 წლის სამუშაოთა გრანდიოზული პროგრამის განსახორციელებლად.

კარანტინის, მავნებლებისა და დაავადებისაგან სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა დაცვის შესახებ საბჭოთა კავშირ-უნგრეთის კონვენციის სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა

1950 წლის 26 დეკემბერს მოსკოვში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. ა. ლავრენტიევმა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში სკლადან აგოშტონმა გაცვალეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის კარანტინის, მავნებლებისა და დაავადებისაგან სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა დაცვის შესახებ დადებული კონვენციის სარატიფიკაციო სიგელები. კონვენციას ხელი მოაწერეს 1950 წლის 13 ივლისს ბუდაპეშტში და იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა 1950 წლის 16 დეკემბერს, ხოლო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმმა 1950 წლის 6 სექტემბერს.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლას დაესწრნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ: სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმძღვანელო-უფლებრივი სამმართველოს უფროსის მოვალეობის აღმსრულებელი მ. ა. ბუევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბალკანეთის ქვეყნების განყოფილების გამგის მოადგილე ქ. დ. ლევიჩკინი.

უნგრეთის მხრივ: უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს მრჩეველი დ. ანდრაშფი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს მე-2 მდივანი ი. მარიაი.

არმიის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საკავშირო საბჭოს სხდომა

27 დეკემბერს მოსკოვში გაიხსნა არმიის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საკავშირო საბჭოს სხდომა.

მოხსენება სამხედრო-მასობრივი მუშაობის მდგომარეობისა და ამოცანების შესახებ გააკეთა საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ საბჭოთა კავშირის გმირმა გენერალ-პოლკოვნიკმა ვ. ი. კუზნეცოვმა.

ბევრ წრეში მომზადებულია მრავალი ათასი სპორტსმენი—მსროლელები, რადისტები, კავალერისტები, ავტომობილისტები და მოტოციკლისტები. გარდა ამისა, სოფლის მეურნეობისათვის მომზადებულია ათასობით ტრაქტორისტი და ავტომობილისტი.

თავის მოხსენებაში ამხ. კუზნეცოვმა მნიშვნელოვანი ყურადღება მიაქცია მუშაობას თანრიგოსან მსროლელთა და სხვა სპეციალობის სპორტსმენთა მომზადების დარგში. გამართულ შეჯიბრებაში მარჯვე სროლის ოსტატებმა არმიის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების 34 ახალი რეკორდი დაამყარეს. აქედან შვიდი საკავშირო რეკორდებზე მაღალია.

მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს არმიის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რადიოკლუბებმა და მოკლეტალღოსნებმა. მრავალ შეჯიბრებაში არმიის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების წევრებმა 600 ათასზე მეტი ორმხრივი რადიოკავშირი დაამყარეს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის მოკლეტალღოსნებთან.

ახალი თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვეს ცხენოსანმა სპორტსმენებმა. არმიის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცხენოსნებმა მასობრივ შეჯიბრებაში 22 რეკორდი დაამყარეს, აქედან ხუთი საკავშირო რეკორდებს აღემატება.

არმიის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საკავშირო საბჭოს სხდომა ორ დღეს გასტანს. (საკდესი).

ახალი ექსკავატორი

მოსკოვის საექსპერიმენტო-მექანიკური ქარხანა შეუდგა ნავთისა და გაზის მაგისტრალების გასაყვანი ახალი ექსკავატორის გამოშვებას. ეს მანქანები მნიშვნელოვნად აჩქარებენ მიწის სამუშაოებს, ამსუბუქებენ მრავალი ასეული ადამიანის შრომას.

წელს ამ საწარმომ გამოუშვა ასობით აგრეგატი საბათქაშო სამუშაოთა მექანიზაციისათვის, აგრეთვე სპეციალური ამწევები, რომლებიც კალატოზებსა და მებათქაშეებს სამუშაო ადგილზე აწვდიან საჭირო საშენ მასალას.

ახალი ქსოვილები

მოსკოვის საფეიქრო საწარმოებმა მნიშვნელოვნად განაახლეს თავიანთი პროდუქციის ასორტიმენტი. ისინი ამზადებენ ასობით ახალი ხარისხის ბამბეულს, შალეულსა და აბრეშუმის ქსოვილებს.

დიდი მოთხოვნაა ჩვენს ქვეყანაში კომბინატ „ტრიოხგორნაია მანუფაქტურის“ პროდუქციაზე. საწარმოს მხატვრებმა წელს ქსოვილთა მოჩითულობის ორასამდე ახალი სახე შექმნეს.

1950 წლის სიახლეს წარმოადგენს საწვიმრის აბრეშუმის ქსოვილი, რომელიც წყალს არ უშვებს. მიმდინარე წლის მეორე ნახევარში კომბინატმა „კრასნაია როზამ“ ერთიორად მეტი ასეთი ქსოვილი გამოუშვა, ვიდრე წლიური გეგმით იყო გათვალისწინებული.

ბოლშევიკური გაზეთი „ზვეზდა“

(40 წელი პირველი ნომრის გამოსვლიდან)

სტოლიპინის რეაქციის მიუხედავად 1910 წლის დამლევს რუსეთის მუშათა მოძრაობაში თავი იჩინა გამოცოცხლების პირველმა ნიშნებმა. ბოლშევიკური ორგანიზაციები ამ პერიოდში ჯერ კიდევ არ იყვნენ მტკიცედ დარაზმული და გაერთიანებული. ამ საქმეში უმნიშვნელოვანესი როლის შესრულება შეეძლო საერთო-რუსულ გაზეთს, მაგრამ ასეთი გაზეთი მაშინ ბოლშევიკებს არ ჰქონდათ. არალეგალური პარტიული გაზეთები „სოციალ-დემოკრატი“ და „რაბოჩაია გაზეტა“, რომლებიც საზღვარგარეთ გამოდიოდნენ, ვერ აკმაყოფილებდნენ მუშების გაზრდილ მოთხოვნილებას, ამას ისიც ერთვოდა, რომ ფერხდებოდა მათი გადმოტანა საზღვარგარეთიდან. გაზეთები სიშორის გამო ვერ აწვდიდნენ ოპერატიულ მასალებს მუშებს.

რუსეთში ახალი საერთო-პოლიტიკური გაზეთის გამოცემის საკითხი პირველად დასვა ამხანაგმა სტალინმა. ამასთან დაკავშირებით 1910 წლის 26 თებერვალს „სოციალ-დემოკრატის“ ფურცლებზე, ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა: „ცუდად მოქმედებს პარტიულ მასაზე პარტიიდან მოწყვეტილობა, რუსეთის პარტიული ორგანიზაციების საქმეთა შესახებ ცნობების სრული უქონლობა. საქმეს უშველიდა საერთო-რუსული ორგანო, რეგულარულად მოწყობილი საერთო-პარტიული კონფერენციები და ცენტრალური კომიტეტის წევრების მიერ სისტემატური შემოვლა. ... ბაქოს კომიტეტი აღნიშნავს ორგანიზაციების ურთიერთისაგან გაწყვეტილობას და ფიქრობს, რომ მხოლოდ რუსეთში გამომავალ საერთო-რუსულ ორგანოს შეეძლო შეაკავშიროს ერთ მთლიან პარტიულ ორგანიზაციებად, — ამიტომ წინადადებით მიმართავს პარტიას ხელი მოჰკიდოს ასეთი გაზეთის შექმნას“ (ი. სტალინი. თხზულებანი, ტ. 2, გვ. 193-194).

ასეთი გაზეთი იყო „ზვეზდა“.

გაზეთი „ზვეზდა“ გამოდიოდა ბოლშევიკ-ლენინელების მიერ მენშევიკ-პარტიელებთან (პლეხანოველებთან) ბლოკის დადების პერიოდში. როგორც ცნობილია ეს ბლოკი ტაქტიკური მოსაზრებით იყო ნაკარნახევი და მას მიზნად ჰქონდა მენშევიკ-ლიკვიდატორების მიერ შეცდომაში შეყვანილი მუშების გამოყვანა ბოლშევიკების მხარეზე. მართლაც „ზვეზდა“ მოკლე ხნის განმავლობაში ბოლშევიკებისა და მენშევიკ-პარტიელების საერთო ორგანო იყო.

მეორე მხრივ, უყრიდა რა საფუძველს ახალ ორგანოს, ლენინი მოლაპარაკებას აწარმოებდა სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წარმომადგენელ ნ. გ. პოლეტაევთან. ეს საჭირო იყო იმისათვის, რათა ამ უკანასკნელის „ხელშეუხებლობა“ გამოყენებული ყოფილიყო გაზეთის ლეგალური არსებობისათვის.

„ზვეზდის“ პირველი ნომერი გამოვიდა 1910 წლის 29 დეკემბერს. ვ. ი. ლენინი გახარებული იყო მისი გამოსვლით. „გუშინ, — წერდა ლენინი ელიზაროვს 1911 წლის 3 იანვარს,—მივიღე რუსეთიდან „ზვეზდა“ № 1... ეს რა მახარებს. იმედი მაქვს თქვენც ნახავთ. ეს არის სასიხარულო ამბავი!!“ (ვ. ი. ლენინი, წერილი ახლობლებისადმი, გვ. 370).

მაგრამ „ზვეზდის“ პირველმა ნომრებმა, რომლებმაც ჯერ კიდევ გაბედულად ვერ აღიმაღლეს ხმა ლიკვიდატორების წინააღმდეგ, ვერ დააკმაყოფილა ლენინი. როგორც აღვნიშნეთ, „ზვეზდა“ გამოდიოდა როგორც ბოლშევიკებისა და მენშევიკ-პარტიელების (პლეხანოველების) ორგანო, მაგრამ ამავე დროს იგი III სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ორგანოც იყო. ეს უკანასკნელი კი გაბედულად არ მიჰყვებოდა ბოლშევიკებს. ამ საკითხთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი „ზვეზდის“ გამოსვლის ნახევარი წლის შემდეგ ა. მ. გორკის წერდა: „... მხედველობაში უნდა მიიღოთ, რომ „ზვეზდის“ გარშემო ჩვენ ბლომად გვქონდა და გვაქვს მოუგვარებლობა; (იგულისხმება სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია — გ. ს.) ხაზი არა აქვთ, მათ ეშინიათ იარონ ჩვენთან, ეშინიათ იარონ ლიკვიდატორებთან, იმშუბებიან, იბერებიან, ყოყმანობენ“ (ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, ტ. XXIX, გვ. 14).

1911 წლის 24 ივნისიდან „ზვეზდამ“ 4 თვის განმავლობაში შეწყვიტა მუშაობა, ხოლო შემდეგ აღდგენილ იქნა როგორც წმინდა ბოლშევიკური გაზეთი.

„ზვეზდაში“ დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის 50-მდე სტატია და წერილი. პირველ ორ ნომერში მოთავსებულია ვ. ი. ლენინის ცნობილი სტატიები „უთანხმოება ევროპის მუშათა მოძრაობაში“ და „მარქსიზმის ისტორიული განვითარების ზოგიერთი თავისებურების შესახებ“, რომლებიც მარქსიზმ-ლენინიზმის მნიშვნელოვან ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნებიან.

სტატია „მარქსიზმის ისტორიული განვითარების ზოგიერთი თავისებურების შესახებ“ იწყება ენგელსის ცნობილი დებულებით, რომ მარქსიზმი „მოქმედების სახელმძღვანელოა და არა დოგმა“. ლენინი აღნიშნავს, რომ ენგელსის ამ კლასიკურ დებულებაში ხაზგასმულია მარქსიზმის ის მხარე, რომელიც მის „ცოცხალ სულს“ შეადგენს. თუ მარქსიზმის ამ მხარეს ყურადღება არ მივაქციეთ, ამბობს შემდეგ ლენინი, ეს იმას ნიშნავს, რომ „ძირს ვუთხრით მის ძირითად თეორიულ საფუძვლებს — დიალექტიკას, მოძღვრებას ყოველმხრივი და წინააღმდეგობებით აღსავსე ისტორიული განვითარების შესახებ; ვარყევთ მის კავშირს ეპოქის განსაზღვრულ პრაქტიკულ ამოცანებთან, რომლებიც შეიძლება შეიცვალონ ისტორიის ყოველი ახალი შემობრუნების დროს“.

იმარჯვებს რა მარქსიზმის ბასრ იარაღს, ლენინი უკეთებს ღრმა ანალიზს რუსეთში არსებულ ვითარებას 1905 წლის რევოლუციის შემდგომ პერიოდში.

„ისტორიული განვითარების დიალექტიკა ისეთი აღმოჩნდა, — წერს ლენინი, — რომ პირველ პერიოდში დღის წესრიგში იდგა უშუალო გარდაქმნათა განხორციელება ქვეყნის ცხოვრების ყველა დარგში, ხოლო მეორეში — გამოცდილების გადამუშავება, მისი შეთვისება უფრო ფართო ფენის მიერ, მისი შეჭრა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ქვენიადაგში სხვადასხვა კლასის ჩამორჩენილ რიგებში“. ლენინს აქ მხედველობაში აქვს „მარქსიზმის ყველაზე განყენებული და ზოგადი ფილოსოფიური „რევიზია“ მარქსისტების ბრძოლა მახისტური ფილოსოფიის წინააღმდეგ, რომელიც წარმატებით იქნა დაძლეული. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ მარქსიზმი არ არის მკვდარი დოგმა—წერს ლენინი, —... გადამჭრელი და შეუდრეკელი ბრძოლა მარქსიზმის საფუძვლებისათვის ისევ დადგა დღის წესრიგში“. ამჯერად „დღის წესრიგში“ იდგა პარტიული ორგანიზაციების განმტკიცების საკითხი. ამას პირდაპირ აყენებდა მზარდი რევოლუციური მოძრაობა.

* * *

„ზვეზდის“ პერიოდის უმნიშვნელოვანეს ამბებს მიეკუთვნება პრაღის პარტიული კონფერენცია, რომელმაც გააფორმა ბოლშევიკური პარტიის დამოუკიდებელი არსებობა. „ზვეზდამ“ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა პრაღის კონფერენციის მომზადების საქმეში.

პრაღის კონფერენციამ თავის გადაწყვეტილებებში წინასწარ განჭვრიტა ახლო მომავალში რევოლუციური აღმავლობის გარდუვალობა და ყველა ზომა მიიღო იმისათვის, რომ პარტია ამ აღმავლობას ყოველმხრივ მომზადებული შეხვედროდა. კონფერენციამ აირჩია ბოლშევიკური ცენტრალური კომიტეტი, შექმნა პრაქტიკული ცენტრი რუსეთში რევოლუციური მუშაობის ხელმძღვანელობისათვის (ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიურო). კონფერენცია დაუსწრებლად ირჩევს პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში ამხანაგ სტალინს. ლენინი ამხანაგ სტალინს ავალებს ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს ხელმძღვანელობას. მაგრამ ამხანაგი სტალინი ამ დროს გადასახლებაში იმყოფებოდა. საჭირო იყო მისი გამოქცევის მოწყობა. კონფერენციის დამთავრების შემდეგ ლენინის დავალებით ამხანაგ სტალინს გადასახლებაში (ვოლოგდა) ნახულობს სერგო ორჯონიკიძე, აწვდის მას ინფორმაციას პრაღის კონფერენციის შესახებ. 1912 წლის 29 თებერვალს ამხანაგი სტალინი გამოიქცა გადასახლებიდან და შეუდგა ლენინის დავალებათა შესრულებას—სათავეში ჩაუდგა ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს და ხელმძღვანელობდა გაზეთ „ზვეზდის“ მუშაობას.

პრაღის კონფერენციამ აღნიშნა მუშათა მოძრაობაში დაწყებული გამოცოცხლება, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო ნამდვილი აღმავლობა. რევოლუციური მოძრაობის ნამდვილი აღმავლობა დაიწყო 1912 წლის აპრილ-მაისში, როცა ლენის მუშების დახვრეტასთან დაკავშირებით მასობრივმა პოლიტიკურმა გაფიცვებმა იფეთქეს. 1912 წლის 4 აპრილს ლენის ოქროს სარეწაოებზე, ციმბირში, მეფის ჟანდარმთა ოფიცრის ბრძანებით მოკლულ და დაჭრილ იქნა 500-ზე მეტი მუშა, რომლებიც თავიანთი ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ადმინისტრაციასთან მიდიოდნენ მოსალაპარაკებლად. ეს სისხლიანი ბოროტმოქმედება მეფის მთავრობამ ჩაიდინა ლენის ოქროს სარეწაოთა პატრონების — ინგლისელი კაპიტალისტების სამებლად, რომლებიც აღშფოთებას გამოთქვამდნენ მუშათა ეკონომიური გაფიცვების გამო. ლენის მუშების დახვრეტამ აღელვა მთელი რუსეთის პროლეტარიატი. დაიწყო თვითმპყრობელობისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლების ახალი ტური.

„ლენაზე თოფის გასროლამ დაამსხვრია მდუმარების ყინული, — წერდა ამხანაგი სტალინი გაზეთ „ზვეზდაში“, — და დაიძრა სახალხო მოძრაობის მდინარე. დაიძრა!...“ (თხზულებანი, ტ. 2, გვ. 254).

გაზეთ „ზვეზდაში“ დაბეჭდილი ამხანაგ სტალინის სტატიები „ახალი ხანა“, „ცხოვრება იმარჯვებს“, „დასკვნები“ და სხვ., ეხებიან მუშათა კლასის ახალ პოლიტიკურ აღმავლობას.

გაფიცვების, მიტინგების, დემონსტრაციების ტალღამ მოიცვა პეტერბურგი, მოსკოვი და რუსეთის ყველა დიდი სამრეწველო ცენტრი. ლენის ამბებს გამოეხმაურა ამიერკავკასიის პროლეტარიატი. ბაქოს პროლეტარები „... დაწყებული რევოლუციური მოძრაობის პირველი მერცხლები იყვნენ“ (სტალინი). შემდეგ გაფიცვებში ჩაებნენ თბილისის, ბათუმის, ჭიათურის, ფოთის მუშები. 25 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ჭიათურის მუშათა გაფიცვა, რომელშიც 7 ათასი მუშა მონაწილეობდა.

რევოლუციური მოძრაობის ახალი აღმავლობა IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებისათვის გაძლიერებულ მზადებას დაემთხვა. ბოლშევიკების პოზიცია IV სახელმწიფო სათათბიროსადმი და სათათბიროს მუშა დეპუტატების ამოცანები შეუდარებელი სიზუსტით ჩამოაყალიბა ამხანაგმა სტალინმა თავის სახელგანთქმულ „განაწესში მუშა დეპუტატისათვის“. ლენინი აღფრთოვანებული იყო ამ განაწესით და წინადადებას იძლეოდა შეენახათ ის, როგორც ძვირფასი დოკუმენტი.

ბოლშევიკები სათათბიროს ტრიბუნას იყენებდნენ ახალი რევოლუციის მოსამზადებლად. „სწორედ სათათბიროს ტრიბუნაა ახლანდელ პირობებში პროლეტარიატის ფართო მასების განათლებისა და დარაზმვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება“, — წერდა ამხანაგი სტალინი აღნიშნულ „განაწესში“ (თხზულებანი, ტ. 2, გვ. 26?). სათათბიროს ტრიბუნიდან გამოსვლებით და თვით სათათბიროს მაგალითით ბოლშევიკები ნიღაბს ხდიდნენ თვითმპყრობელობას და სათათბიროში მოკალათებულ კონტრრევოლუციურ პარტიებს — კადეტებს, ოქტიაბრისტებს და სხვ. და არწმუნებდნენ მუშებსა და გლეხებს, რომ არა თვითმპყრობელობა და მისი მორჩილი სათათბირო, არამედ რევოლუცია, რომელსაც ბოლშევიკები ამზადებდნენ, გადაწყვეტდა მათ საჭირბოროტო საკითხებს.

„ზვეზდა“ ფართოდ აშუქებდა ბოლშევიკების პლატფორმას IV სახელმწიფო სათათბიროსადმი. ამ საკითხისადმი მიძღვნილი ვ. ი. ლენინის სტატიები „IV სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო კამპანია“, „ლიბერალიზმი და დემოკრატია“, ი. ბ. სტალინის სტატიები „ლიბერალი ფარისევლები“, „როგორ ემზადებიან ისინი არჩევნებისათვის“ და სხვ. IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დროს ბოლშევიკების შეუპოვარი ბრძოლის შედეგი იყო ის, რომ მათ მენშევიკ ლიკვიდატორებს ხელიდან გამოგლიჯეს „მუშათა კურიის დეპუტატთა ექვსივე ადგილი“ (სტალინი).

მიუხედავად იმისა, რომ „ზვეზდა“ ლეგალურად გამოდიოდა, იგი მრავალჯერ იქნა დარბეული მეფის ოხრანკის მიერ. მას განუწყვეტლივ ავიწროებდნენ ოხრანკასთან დაკავშირებული ცენზორები. 1912 წლის 22 აპრილს მეფის მთავრობამ „ზვეზდა“ დახურა, მაგრამ მის მაგივრად 1912 წელს გამოსვლა იწყო „ნევსკაია ზვეზდამ“, რომელმაც 1912 წლის 18 ოქტომბრამდე იარსება.

„ზვეზდის“ საფუძველზე 1912 წლის 5 მაისს იშვა ბოლშევიკური გაზეთი „პრავდა“.

„პრავდის“ ფიზიონომია ნათელი იყო, — წერდა ამხანაგი სტალინი თავის მოგონებაში „პრავდის“ ათი წლის თავზე, 1922 წლის 5 მაისს,—„პრავდა“ მოწოდებული იყო გაეწია მასებში „ზვეზდის“ პლატფორმის პოპულარიზაცია. „ვინც „ზვეზდას“ კითხულობს,—წერდა „პრავდა“ პირველსავე ნომერში, — და იცის, ვინ არიან მისი თანამშრომლები, რომლებიც „პრავდის“ თანამშრომლებიც არიან, მას არ გაუძნელდება იმის გაგება, თუ რა მიმართულებით იმუშავებს „პრავდა“. განსხვავება „ზვეზდასა“ და „პრავდას“ შორის მხოლოდ ის იყო, რომ „პრავდის“ აუდიტორიას „ზვეზდისაგან“ განსხვავებით შეადგენდნენ არა მოწინავე მუშები, არამედ მუშათა კლასის ფართო მასები“ (თხზულებანი, ტ. 5, გვ. 143).

„პრავდამ“ განაგრძო „ზვეზდის“ მიერ დაწყებული საქმე, დარაზმა „პარტიული დროშის გარშემო რუსეთის მუშათა კლასის ახალი ბრძოლისათვის გაღვიძებული, მაგრამ პოლიტიკურად ჩამორჩენილი ფართო ფენები“ (სტალინი). სწორედ ამ ფენებმა მიიტანეს შემდეგ გადამწყვეტი იერიში ცარიზმისა და ბურჟუაზიის რეჟიმზე და 1917 წლის ოქტომბერში გამარჯვების დროშა ააფრიალეს.

გ. სიხარულიძე

დაიწყო მზადება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის

სოფსოტო განაფიფლებაში სოფლის ფოსტალიონმა საგელდაგელოდ შეფუთა ახალი ჟურნალ-გაზეთები და დაფუფუვნებლივ გაფდა შორეულ მთებში მიმავალ გზას.

— ჩემი თანამემამულეები, — ეგალამბის ლენინგორის რაიონის ყველაზე შორეულ, ძნიერის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნიკოლოზ ქისიევი, — ახლა გაზეთების დაგვიანებით მოელასაც ვერ ფრინდებიან.

ნიკოლოზ ქისიევი მოწმეა იმისა, თუ რა დიდი ცვლილებანი მოხდა შორეულ მთებში მყოფ ადამიანთა ცხოვრებაში. ერთ დროს წერა-კითხვაც არავინ იცოდა ძალიზე, ახლა კი ამ მოუთმენელად მოელან გაზეთის ყოველი ახალი ნომრის მოსვლას.

ამას წინათ სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარესთან კოლმეურნეთა ჯგუფი მოვიდა.

— ერთი საქმე უნდა მოვაკავაროთ, — ხმეტეს მათ ქისიევს, — რადიომიღები უნდა შეეიძინოთ, გვინდა დროზე გავიგოთ ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიოს ამბები.

ქისიევს ეუფურადფიდოდ არ დაფტოგვია კოლმეურნეთა თხოვნა. სასოფლო საბჭოს ბაღალმთიან სოფელ ჩეგოიანში ახლა რადიომიმიღები „სამმოლო“ მუშაობს. ხშირად იკრიბეგიან მთელები რადიომიმიგბთან, კოლეტიფიდან ისმენენ საინტერესო ამბებს, მოისმენენ საკარიფელოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებსაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დანიშვნის შესახებ.

სოფლის ფოსტალიონმა მოიტანა გაზეთები, რომლებშიც დაბეჭდილია საარჩევნო დებულება. ბაღალმთიანი სოფლების აგიტატორებმა კვლავ ახალი ძალით გააჩაღეს საგგიტაციო მუშაობა.

ჩიგოიანელ აგიტატორს ვერა გაგიგეს ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების დღეებში მრავალი სანერტესო შეხვედრა ჰქონდა თავის მსმენელებთან. იგი მათ უამბნია ჩვენი ფიდი სამშობლოს წარმატებებზე, მის სახელოვან ადამიანებზე... ამ ადამიანებმა ერთ-ერთ ადგილზე ახალი ამბავი მოიტანეს არჩევნების დანიშვნის შესახებ.

მეზობელი სოფლის ბაგინის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაშიც ფარიფოდ გაჩაღდა მზადება მომავალი არჩევნებისათვის. სოფფოს სხვადასხვა უბანში მეცხოვრეფლებთან მიდიან საღამობით სოფლის მასწავლებელი, აგიტატორები მერთაზ ბაგიევი, ფოროია ჩოჩიევი და სხვები, რომლებმაც წინა არჩევნებში მდიდარი გამოცდილება შეიძინეს. კოლმეურნეებს მთელ ხოფნიფდგა დგადაქცეათ მათი საუბრების მოსმენა. ძმანეფთა შორის არიან სამამეო ომის მონაწილეები, სტახანოველი კოლმეურნე კოტი ხუტეკეი, ახალგაზრდა მეცხოველეები ეფიმ ეგიბისოვი, დადიმა ტებისოვა და სხვები.

მეცხოველეთა შორის აგიტაციას ფიჩიფეკა ეწევა. აგიტატორის საუბარები კოლმეურნეებს რაზმავს ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. მეცხოველები, რომლებსაც ბოჭნინეკეი კოლმეურნე დიანოზ ძებისოვი ხელმძღვანელობს, ფიანეფთან ანალიზებენ ნაკისრ ვალდებულეფებს. კოლმეურნეობამ გადაკარგინი შეასრულა პორუტეკეს სულადობის ზრდის წლიური დავალებანი, კარგა ხანია გაანაღდა სახელმწიფოსათვის მეცხოველობის პროდუქტების ჩაბარების წლიური გეგმა. ახლა ბაგინელი მეცხოველეები თავდადებით იბრძვიან პირუტყვის საუკეთესოდ გამოსაზამთრებლად, ნამატის მიღების პერიოდისათვის ყოველმხრივ მოსამზადებლად.

პოლიტიკური ადმავლობაა მაღალ მთიან ლარგვასშიც. ამ სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სასოფლო საბჭოს დეპუტატი ვანო ზერამაფინი ცნობილია როგორც კარგი აგიტატორიც. საკოლმეურნეო კახტორიაში ხშირად იყრიან თავს ლარგვესელები. რა-ცა ყველა ბრიგადა და კოლმეურნე სახელით დავალებას მიიღებს, ვანო ზერამდინი თანასოფლელებს საინტერესოდ მოეთხრობა ჩვენი ქვეყნის ამბებს, საზოვარკარეთის ამბებს. მის სიტყვას პატივს სცემენ ლარგვესელები. კარგად ახსოვთ კოლმეურნეებს ის დღეები, როცა სოფლის აგიტატორები და მათ შორის ვანო ზერამდინიც მათ მოეთხრობდნენ საკუთარი წარმოების პერიოდ საქართველოს უზრნველეფოფის ამოცანაზე. მათ მტკიცედ გადაწყვიტეს მაშინ თავიანთი ჭვალოი შეეტანთ ამ დიდ საქმეში. ყაბრის გაეხვით, შესაძლებლობათა მაკსიმალურად გამოყენებით ლარგვესის კოლმეურნეობამ გეგმით გათვალისწინებული 50 ჰექტარის ნაცვლად შემოდგომის პერიეფ 65 ჰექტარზე დათესა. ხენთესვამ ამ ცხარე დღეებში მოწონაციეთა რიგაბში იყვნენ კოლმეურნეები თედო და ყიდა მელთაფრები, ვანო ბერიანიძე, გოგლა ზარაძე და სხვები. ახლა ლარგვისელი კოლმეურნეები ახალ ზრაფფოვანს სარეკანს უმზადებენ დიდ-სამშობლოს.

საბზოეთ ოსეთის მთიან სოფლებში ახალი სამეურნეო და პოლიტიკური ცხოვრება მაღლობა გადაუხადა პარტიასა და მთავრობას ამ ბედნიერ ფაქტისთვის. ალაგიერ ბიეფრის რნეეთ დასახელებული კოლმეურნეობის საზოგადო კრებამ კოლმეურნეობის გამეორის თავმჯდომარეობიდან მოხსნა ბ. ჯოგლიძე. მისი საქმე გადაეცა რაიონის პროკურორს პასუხისგებაში მისაცემად.

ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲠᲘᲡ ᲠᲔᲛᲝᲜᲢᲘ

საქართველოს სსრ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობებით 25 დეკემბრისათვის მტლებში ტრაქტორების რემონტის 1950 წლის მეოთხე კვარტალი გეგმა შესრულებულია 79,1 პროცენტით. დაგალება მთლიანად შესრულებულია 20 მტლ-ში, მათ შორის გარდაბნის, თელეთის, მარტყოფის, დიღმის, აფენის, ლაგოდეხის, ყვარლის, წნორის, წალკის, თიანეთის, ახალციხის, ბოგდანოვკის, ვანიანის, ახალსოფლის, თერჯოლის, წყალტუბოს, გეგეჭკორის, აბაშის, ლანჩხუთის და ბულეიფშის მტლ-ებში.

გალის მტლ-ში მეოთხე კვარტალის გეგმა 71,4 პროცენტით არის შესრულებული. ინაშჩარის — 52,9, ბეფდეფთის — 88,9, ქობულეთისა და მახარაძის — 80, ცხაკაიის — 47,4, კოლხიდის — 75, ზუგდიდის — 77,8, ხობის — 78,6, ქუთაისის — 73,3, სამტრედიის — 53,8, წულუკიძის — 58,3, ვანის — 70, ზესტაფონის — 55,6, ხაშურის — 77,3, აგარის — 73,1, ქარელის — 8,3, რუსთავის — 90, გორის — 63,2, შინდისის — 22,2, წითელკალაქის—35,3, დუშეთის—84,2, სტალინირის — 50, ჩხოეთის — 76,9, ახალციხელების — 92,9, ადიგენის — 71,4, ფმანისის — 55, ასპინძისა და გურჯაანის — 71,4, კაჯრანის — 68,8, ფლათნოვკის — 57,7, ალაზნის — 30,3, წითელწყაროს — 94,3, შირაქის — 22,6, თელავის — 88,9, ახმეტის — 71,4, ენისელი — 75, მცხეთის—69,6, მარნეულის — 40, შულავრის — 15,4, ქაჩარეთის — 91,7, ბოლნისის — 81, სავაჯოკოს — 30, ირორის — 46,7, სართიჭალის მტლ-ში — 61,1 პროცენტით.

რემონტიდან ერთი ტრაქტორიც არ გამოუშვიათ ალსანი, ტაბიანის, წალენჯიხისა და ხხოროწყუს მტლ-ებს.

მზრალად ხენა კოლმეურნეობებში

(ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ 25 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘᲗ)

რაიონების დასახელება	გეგმის შესრულება პროცენტობით
ოფხისის ასსრ	168,3
სამხრეთ ოსეთის ა. ო.	83,6
აბაშის	276,0
ცხაკაიის	121,7
გეგეჭკორის	116,0
ზუგდიდის	100,0
წალენჯიხის	100,0
ჩხოროწყუს	101,5
ქუთაისის	131,9
წულუკიძის	172,8
სამტრედიის	100,0
ნინოწმინდის	80,0
ვანის	123,6
მაიაკოვსკის	121,7
ზესტაფონის	100,3
თერჯოლის	132,5
ტყიბულის	106,5
ამბროლაურის	90,0
ცაგერის	140,0
ქედის	0
ახალქალაქის	100,3
ბოგდანოვკის	114,0
ახალციხის	102,5
ადიგენის	52,1
ასპინძის	68,7
ხაშურის	100,6
ქარელის	100,6
გორის	100,2
ცხინვალის	57,2
ბორჯომის	103,2
წალკის	100,9
დუშეთის	100,2
თეთრი წყაროს	100,3
თიანეთის	139,6
გურჯაანის	100,2
კასპის	94,7
ონისეულის	86,8
წითელწყაროს	101,9
თელავის	94,4
ახმეტის	49,4
ყვარლის	100,1
ლაგოდეხის	87,7
თელეთის გარეუბნის	114,1
მცხეთის	94,7
გარეჯის	88,1
მარნეულის	44,3
ბოლნისის	82,5
სავაჯოკოს	100,0
ფმანისის	72,1
სულ საქართველოს სსრ	**94,3**

„ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲘᲒᲠᲫᲔ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ

„ᲡᲐᲥᲝᲚᲝᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲓᲝᲚᲝᲕᲘᲗᲘ ᲒᲐᲛᲔᲠᲘᲐᲕᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲡᲐᲯᲛᲔᲗ“

ბაზეთ „კომენისტის“ 20 მაისის ნომერში ამ სათაურით გამოქვეყნებული იყო „კომენისტის“ საკუთარი კორესპონდენტის წერილი. წერილში მხილებული იყო ვანის რაიონის სოფელ შიდელეფფოს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობისა და კერძოდ მისი თავმჯდომარის პ. ჯოგლიძის მიერ საკოლმეურნეო დოლთათის მითვიფებისა და განაკვების, რაიონის ხელმძღვანელი ორგანოებისათვის ყალბი ცნობების მიწოდების შრავალი ფაქტი.

საქართველოს კ. პ. (ბ) ვანის რაიკომის მდივანი ამხ. გ. ცხოვრებაძე გვაცყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტების დადასტურდა. რაიკომის ბიუროს რწეკვით დასახელებული კოლმეურნეობის საზოგადო კრებამ კოლმეურნეობის გამეორის თავმჯდომარეობიდან მოხსნა პ. ჯოგლიძე. მისი საქმე გადაეცა რაიონის პროკურორს პასუხისგებაში მისაცემად.

ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔᲘᲗ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲕᲮᲕᲓᲔᲗ ᲐᲮᲐᲚ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲬᲚᲘᲡ

1950 წელი მთავრდება. თბილისის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები ეხეიგრიულად ემზადებიან ახალი სამეურნეო წლისათვის. მომავალი წლისათვის საწარმონი საგრძნობლად გადიდებულ საგეგმო დავალებას იღებენ, მათ ეკისრებთ მოგეკეცნ მეტი და უფრო ფართო ასორტიმენტის პროდუქცია.

გამოცდილებით დადასტურებულია, რომ ახალი სამეურნეო წლის პირველი დეკადაეე რატომ, გამართულ მეშაობას სურავდ ინ საწარმოში ახეარხებენ, სადაც დროფფდა შეამოწმეს ან წესრიგზე მოიყვანეს მანქანა-დანადგარები, გამოიყენეს შიდასაკმარისი რესურსები, შეიძენ შავეს ახალი პროდუქციის გამოშვების ტექნოლოგიური რეჟიმი, საამქროებში შესაბამისად გაეხარიცეულს სათანადო ტექნიკური ცალილებანი, მოგაეკეს ხელფეფლის, დამხმარე მასალების, სათბობის მომარაგების საქმე და ამასთან მთელი კოლექტივი დარაზმეს დაკალთბთა შესასრულებლად.

იქ, სადაც ამას არ აკეთებენ, ახალი სამეეურნეო წლის პირველი დღიდანვე ფეერდება მეშაობა. არ სრულდება გეგმა. მაგალითად, ზაარშმ ორგანონკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა, სამინისტროფდან გეგმის დროულად მიეღებლობის გამო, მოეეშაფდეკეი შეხვდა ახალ სამეურნეო წელს. ამის გამო მანქანათმშენებელთა ამ მოწინავე კოლექტივმა ვერ შეასრულა იანვარ-თებერვლის გეგმა, რამაც დაიო დაიწინა კოლექტიეის მთელ შემდგომ მეშაობას.

დედაქალაქის სამრეწველო საწარმოთა უმეტესობაში წელს გეფდასმთ ფეფდენენ ახალი სამეურნეო წლისათვის მზადებას. ამ საქმეში ფართოდ იყენებენ წინა წლების გამოცდილებას. ქონოვის სახელობის დაზგაბიმშენებელი ქარხანის კოლექტივმა 1951 წელს 40 პროცენტით მეტი პროდუქცია უნდა გამოუშვას. მიმდინარე წელთან შედარებით, ამასთან უნდა აითვისოს ახალი ტიპის დაზგების წარმოება. ამ პასუხსაგები ამოცანის პირნათლად შესრულების მიზნით ქარხანაში დროფფდა დასახეს ახალი სამეურნეო წლისათვის მზადების კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა სიფეფდეკეი ზე მეშაობაში ჩაბეის თვითეფფ“ საამქრო, თვითეფფი მეშა და ინეენერ ტექნიკეფნი. შეადგინეს და დაამუშავეს ახალი ტიპის დაზგების სამეშაო პროექტი, გაანაწილეს დავალება და საამქროთა მიხედვით შეეფდგენ სადაზე ფეტალების დამზადებას, მოაგვარეს მასალების, ნედლეულის, სათბობის მომარაგების საქმე და ყოველეეეს აკეთებენ, რომ 1 იანვრიდან შიძლინ დაზგების გამოშვება ნაკადური წესით. მიღებული ზომების შედეგად კოლექტივი მზად არის ახალი სამეეურნეო წლისათვის და პირობას იძლევა იანვრისა და თებერვლის გეგმა შეასრულოს საბჭოთა საკართველოს ოცდაათი წლისთავისათვის.

კარგად მოამზადეფლი ხედგბა ახალ სამეურნეო წელს 26 კომბინის სახელობის. მანქანათმშენებელი ქარხანა. პროდუქციის გამოშვების 15 პროცენტით გადიდებასთან ერთად მანქანათმშენებლები მომავალ წელს დაიწყებენ ახალი გუმბოკობესებელი ტიპის აბრეშუმსაქმელი მანქანების ინტენსიურ წარმოებას. ქარხანაში გაცხოველებით მეშაობენ ამ დაზგის წარმოების ასათვისებლად. მისი თვითეული დეტალის კონფიგურაციის შესაბამისად დაადგინეს ტექნოლოგიური რეჟიმი და დაიწყეს ამ დეტალების დამზადება. ამჟამად დეტალები თითქმის მზად არის და დაიყენეთია პირველი, სასდელი დაზგის აწყობა. დიდი მეშაობა გასწიეს ქარხნის პარტიულმა და პროფფფეფფფა ორგანიზაციებმა. საამქროებში მეშაბს გააცეს ქარხნის 1951 წლის გეგმა და ამ გეგმის სავალდებულ თვეითეულ მთგანს კონკრეტული საბრძოლო ამოცანა დაუსახეს.

ორგონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელმა ქარხანამ დროფფლად მიიღო მომავალი წლის გეგმა. გთვალისწინებულია წარმოების მოცულობის საკრძნობი ზრდა. ერა პარტიულმა კრებამ განიხილა მომავალი სამეურნეო წლისათვის მზადების საკითხი და, ანალიზ, გადიდებული საწარმოო გეგმის საფუძველზე შეიმეფდა მზადების კონკრეტული ღონისძიებანი. აგიტატორები საამქროებში მუშებს ეაკუთრენ ახალი გეგმისა და მათი ამოცანების შესახებ. მეკანიკეფი საამქროს მეშეი ბი გამოეიდნენ საბჭოთა საკართველოს ოცდაათი წლისთავისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრების ბანაკების ინიციატორებად. ამ ინიციატეეს სხვა საამქროებიც გამოეხმაურნენ და ქარხანაში გაჩაღდა ზეჯიბრება ინენრის და თეეტრეულ დავალების 25 თეეტრეულსათვის შესასრულებლად. ქარხანა ძირითადად მზად არის ახალი სამეურნეო წლის პირველი დღიდანვე შეეფფრხებელი მეშაობისათვის. მას ხელს უშლის მხოლოდ მოუქნელი მეშაობა „ეტალონსბიტი“-ს, რომელიც ქარხანას ვერ ამოაცალეს წინა ეფფფეფ სახის ნედლეულით.

რუსეთელიკის საფეიერო მრეწველობის სიამაყე — თბილისის მაეფდ-კამეოლის ფაბრიკამ 20 ნოემბრისათვის შეასრულა წლიური გეგმა. ამ ფაბრიკისათვის დამახასიათებელია მაღალნაყოფიერი და რიტმული მეშაობა. მომავალ წელს ფაბრიკამ 17 პროცენტით მეტი პროდუქცია უნდა გამოუშვას, ვიდრე 1950 წლის გეგმით იყო გათვალისწინებული. ფაბრიკის კოლეკტივი დარაზმულია ამ ახალი ამოცანის შესასრულებლად. ფაბრიკის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით და ახალი სამეურნეო წლის გეგმის შესაბამისად ტექნიკურ თათბირზე შეადგინეს ახალ დანადგართა საეფფლოტაციეო გადაცემის გრაფიკი. ფაბრიკა უზრუნველყოფილია ნედლეულის, მასალების და სათბობის იმ მარაგით, რაც მას იანვარსა და თებერვალში ეყოფა. მიღებული ზომები მატყლის ისეთი მარაგის შესაქმნელად, რაც საშუალეფ ეძლევა ცხერის ბარსეის სეზონის დადგომამდე.

ახალი სამეეურნეო წლისათვის ქარგად ეეზადებიან ავრეთვე ქარხანა „დაზეა“, კალინინის სახელობის ბეეჭნიეური ქარხანა, წყლეკლოკომბინატი, ზეთსახდელი ქარხანა, ბრეშუმსაქმეო ფაბრიკა და სხვა საწარმოები.

მაგრამ ყველგან ასე როდია. კეთილშეეფის სახელობის ხის დასამუშავებელ, ნახშირმეცავ გაზის, რძის, მიერმოტეოროლოგიური მოწყობილობის და ფანერის ქარხნებში, პირველ სამეერ-ალო და თამბაქოს პირველ ფაბრიკებში, ყურძნეფდ კომბინატში, ალტიკოტაკეო ფაბრიკა „დინამოში“ და მთელ რიგ სხვა საწარმოებში 20 დეკემბერსაც კი არ იყო დაწყებული ახალი სამეურნეო წლისათვის მზადება. შესაბამის სამინისტროთა სუსტი ხელმძღვანელობის შედეგად ზოგიერთ საწარმოში ჯერაც კი იციან თუ რა უნდა აკეთონ მომავალ წელს.

მაგალითად, პირველ სამკერვალო ფაბრიკაში დღემდე არ იციან, მომავალ წელს ორ ცვლად იმუშავებენ თუ ერთ ცვლად. საკართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს 13 დეკემბრისთვის დამტკიცებული არ ჰქონდა ფაბრიკის 1951 წლის გეგმა.

თამბაქოს პირველ ფაბრიკაშიც კი მიღებიათ 1951 წლის გეგმა და არსებითად ინაფეი ერთ გაეკეთებიათ ახალი სამეურნეო წლისათვის მოსამზადებლად.

ყურძნეფდ კომბინატმა 1951 წელს 20 პროცენტით მეტი პროდუქცია უნდა მოგვეცეს. ამ დავალების შესასრულებლად ქარხანა უზრუნველყოფილია ნედლეულით, ნახშირით, ყადრებით. მაგრამ ცუდი მდგომარეობაა ავრეგატებისა და მოწყობილობის მხრივ. საკვე ისაა, რომ ტარეფდა „საკმენინა“ არ შეასრულა კომბინატის მეორე რიგის საეკსპლუატაციოდ გადაცემის დავალება. მშენებლებს აქვთ ბასალები, მოწყობილობა, თანხები, მაგრამ მოუქნელად მუშაობენ და 18 მილიონის ნაცვლად ღღემდე მხოლოდ 11 მილიონი მანეთი ითვისეს.

დედაქალაქის საწარმოთა დიდ ნაწილს ღღემდე არა აქვს მომავალი წლის გეგმა. ადგილობრივი, მსუბუქი, ხორცისა და რძის, კვების მრეწველობისა და სოციალეფი უზრუნველყოფის სამინისტროებმა ვერ შეძლეს ამ გეგმების დროფფდ მედგენა. ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ტრესტი „საკრძეველკარამელრეფ“ ზოგ საწარმოს დაუფფხანდენ გეგმას ალეკვეს.

მთელ რიგ საწარმოთა გამართულ მუშაობას „მეტალობტიტ“ მოუქნელობა აფეეხებს. არის შემთხვევა, როცა „მეტალობტიტ“ ბაზებში არ მოიძოვება ნედლეულის ის ასორტიმენტი, რაც ფაბრიკა-ქარხნებს სჭირდებათ.

ახალი სამეურნეო წლის დაწყებამდე მეცრე დრო დარჩა. ეს მცირე დრო მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ აღნიშნული ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე გულდასმით იმსჯელეს საწარმოთა დირექტორების, პარტიული ორგანიზაციების მდივნების, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარეების რაიონულ თათბირებზე, რომლებიც ამ რამდენიმე დღის წინათ ჩაატარეს საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიონულმა კომიტეტებმა.

საწარმოთა ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, თათბირებზე პრობლემა დადეს, რომ გამოასწორებენ ნაკლოვანებებს, მოემზადებიან ახალი სამეურნეო წლისათვის და ახალი მიღწევებით აღნიშნავენ საბჭოთა საქართველოს ოცდაათ წლისთავს.

ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲒᲐᲛᲔᲤᲦᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡᲐ

აკაკი ახალედიანმა კ. ონნი მუხსალტოდ მეშაობის ერთ წელზე ნაკლები ხნის მანძილზე მოასწრო ათი ათასი ბანეთი მიეთვისებინა. მს დანაშაულზე წაასწრეს. დამნაშავეს სახალხო სასამართლომ რვა წლის პატიმრობა მიუსაჯა. სასჯელი რომ მოიხადა, ახალედიანმა კ. ონნი დარეინება ალარ ისურვა, ნაცნობ-მეგობრებს მოერიდა.

1946 წელს ახალედიანი კახეთს ესტუმრა და კვლავ მუხსალტრის თანამდებობა ითხოვა. ნაცნობ-ნათესავთა დამხმარეობი იგი ახმეტის რაიონის სოფელ ოფოის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში მოიწყო მუხსალტოდ. მუხსალტრები ამ სოფელშიც ბევრნი იყვნენ, მაგრამ ისინი ახალედიანს როგორ შეედრებოდნენ? რაიონის ცენტრში ჩასულისას, ვისაც კი შეხვდებოდა, სასაღილოში იპატიჟებდა. მისი პატივისცემით ყველადე სავსე ახმეტის რაიონში აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების მუხსალტერ-ინსტრუქტორები დიდად ოფსაეხმენენ ახალედიანს; რაიონში კოლმეურნეობა არ დარჩა, რომ იგი სარეეეზოდ არ გაეგზავნათ. გასამრჯელოდ თვითეფეი კოლმეურნეობიდან ორი-სამი ათასი მანეთი მიაჭონდა „რეეეზონს“.

1950 წლის იანვარში ოფოის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნ. გამოლალიშვილმა მუხსალტრის „პატიოსნებაში“ ეჭვი შეიტანა, რეეეზიის მოწყობა მოიწყინა, მაგრამ იცოდა, რომ რაიონში არც ერთი მუხსალტერი ახალედიანს არ „უღალატებდა“. ამიტომ თელავის რაიონიდან მუხსალტერი გ. ჯეჯილაშვილი მიიწვია. რეეეზონი დაიწყო, ახალედიანს მოუსვენრობა დაეტყო.

— სად ცხოვრობთ თქვენ? რატომ აქამდე არ გიცნობდით? — ეკითხებოდა ახალედიანი ახალ რეეეზონს.

საქმე „კარგად“ არ მიდიოდა, ჯეჯილაშვილმა სამი დღის მეშაობის შემდეგ პირველი დასკვნა, „გაკეთა“; „გაფლანგეფია 15.000 მანეთი“.

ახალედიანმა თავისა ძმა-ბიეეები დარაზმა.

— დაანეეე თავი, ეაცო, რომ ჩაეარდეეს, ვინ რა შეგეპატეეს?

— მაგას ისეთი მფარეეეეეი ჰყავს, რომ „ეეეს“ აგიგებეეო, — ეუბნეეეეეს რეეეზონს ეაკის ბიგზანეფეეეეს.

ჯეჯილაშვილი შეშინდა, რეეეზიის გაგრძელებაზე უარი განაცხადა. ამ ამბავზე ახმეტის რაიონის ხელმძღვანელობამ მიაღწია. ოფოინი კომისია ჩავიდა. მათ შორის რაიონის პროკეურორი ივანე გოგაიშვილი იყო. რეეეზონმა ჯეჯილაშვილმა მუშობა განაგრძო. მეხუთე დღეს მან მეორე დასკვნა გააკეთა: „გაფლანგეფულია 22.000 მანეთითო“.

ბუხსალტერი ახალედიანმა ვერ ისეენებდა. რეეეზონს თვალით ამინშებდა: „ბეეეფფა მეტს ნუ ლარაფინენ“, ახალედიანმა ჯეჯილაშვილი გარეთ გიიბმო და ჯიბეში 1.900 მანეთი ჩაუდო: „ეეკერ ეს იყოს, და მერე მე ვეეეფდეეო“.

რეეეზონი მაშინე კანტორაში შებრუნდა და მიეეემეული ქრთამი მაგიდაზე დაყარა. პროკეურორმა გოგაიშვილ-ძა იქ მყოფთ ქრთამის ამბავის აქტის ტექსტი დაუწერა, ქრთამის მიეეემაზე ექესმა კაცმა მოაწერა ხელი.

22.000 მანეთის მითვისება და 1.900 მანეთი ქრთამი „მეერედ“ მიიჩნიეს, ახალედიანს ხელი არ აწლეს. გათამამებულმა ახალედიანმა პარტიის ახმეტის რაიკომში განცხადება შეიტანა: „პატიოსან კაცს მაეუეყანებენ და მომბეედეთო“.

რაიონიდან ახალი კომისია მიაკლინეს. ახალმა რეეეზონრებმა მესამე დასკვნა გააკეთეს: „გაფლანგეფია 42.000 მანეთითო“. ეს იყო 1950 წლის 19 მარტს. მეოთხე დასკვნით ახალედიანის მიერ მითვისებული თანხის რაოდენობამ 62.000 მანეთს მიაღწია.

ახმეტის რაიონის ხელმძღვანელებმა პროკეურორის თანაშემწეს გ. ლიმაკელს და მილიციის უფროსს ნათელაძეს ახალედიანის დაპატიმრება დაავალეს, მაგრამ მთ ეს გაგეკვრეულება არ შეასრულეს. ახალედიანმა ბინა იქცალა, ოფოიდან თელავში გადასახლდა, ჯაფარიძის ქუჩაზე ოთახი დაიკავა, გაესუსხებელი და მბარბეული ფული აკრიფა და მიიმალა.

ახმეტის რაიონში აშკარად შეიფუყეს ხელი გამფლანგველს, საქმე ისე მოაწყეს, რომ ახალედიანს პასუხისმგებლობისათვის თავი დაეძვრინა. ოფოელი კოლმეურნეები დამნაშავეთა დასჯას და გაფლანგეფილი თანხების ანაზღაურებას მოითხოვენ. მათი სამართლიანი მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.

ს. ᲫᲝᲯᲚᲐᲫᲔ

„ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲘᲠᲘᲠᲝᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲮᲔᲚᲐᲠᲘᲡ ᲑᲐᲠᲔᲑᲐᲜᲘᲡ

ᲑᲐᲠᲔᲑᲐᲜᲘ. (ᲑᲐᲯ. ᲙᲝᲠ.). ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღეს საზეიმო ვითარებაში გიიხსნა მთავარ ბრძოლა „აგებული 350 ცხენისძალიანი ჰიდროელექტროსადგური, რომელიც დღეს მიაწყდის 7 კოლმეურნეობას.

ᲥᲣᲩᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲝᲑᲐ

ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝ. („ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲙᲝᲠ.). ᲩᲘᲐᲜᲘ ტემპით მიმდინარეობს რაიონის ცენტრში ქუჩებისა და ბაღების რეკონსტრუქცია.

ჩარკვანის სახელობის ქუჩა მთლიანად მოკირწყლულია და მოპირკეთებულია, ახლა მიმდინარეობს ქუჩის ნაპირებზე ბაღობენის მოწყობა, სადაც დარგავენ მარადმწვანე მცენარეებს.

რაიონის ცენტრის ბაღებისა და სკვერებისათვის შეძენილია ბევრი ბაობადმწვანე მცენარე; გარდა ამისა, განშორებულია „სანთლიანის“ მუშათა ლეგენის ორგანეკ ბაღის აღდგენა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს სხდომა

პეკინი, 27 დეკემბერი. (საქდესი). გუშინ გაიმართა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს სხდომა, რომელზეც მოსმენილ და მიღებულ იქნა მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესზე ჩინეთის დელეგაციის მეთაურ გო მო-ჟოს მოხსენება კონგრესის მუშაობის შედეგების შესახებ, პრემიერ ჯოუ ენ-ლაის მოხსენება ახლანდელი პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ, პრემიერის მოადგილისა და საფინანსო-ეკონომიური კომიტეტის თავმჯდომარის ჩენ იუნის მოხსენება 1951 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შესახებ.

საბჭომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება მხარი დაუჭიროს მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის მიერ მიღებულ „მიმართვას გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი“. გადაწყვეტილებაში ნათქვამია:

„ცენტრალურმა სახალხო მთავრობის საბჭომ თავის მეათე მორიგ სხდომაზე მოისმინა მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესზე ჩინეთის დელეგაციის მეთაურ გო მო-ჟოს მოხსენება კონგრესის მუშაობისა და გადაწყვეტილებათა შესახებ.

ცენტრალურ სახალხო მთავრობის საბჭოს მიაჩნია, რომ მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის მიერ მიღებული საყოველთაო მშვიდობის დაცვის პროგრამა, რომელიც გამოხატულია ორი ისტორიული დოკუმენტით — „მსოფლიოს ხალხებისადმი მანიფესტითა“ და „გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი მიმართვით“, მთლიანად შეესაბამება ჩინელი ხალხისა და მთელი მსოფლიოს ხალხების სურვილს.

ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭო გამსჭვალულია მტკიცე გადაწყვეტილებით — ყოველმხრივ დაუჭიროს მხარი ამ პროგრამას და მოუწოდებს მთელ ჩინელ ხალხს განაგრძოს თავისი ღონისძიებანი სახალხო დემოკრატიის დიქტატურის განსამტკიცებლად, გაერთიანდეს საერთაშორისო მეგობრებთან და გააჩაღოს სამართლიანი მოძრაობა ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ, კორეის დასახმარებლად და სამშობლოს დასაცავად „გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი მიმართვის“ სრული განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს სხდომას დაესწრნენ: თავმჯდომარე მაო ძე-დუნი, თავმჯდომარის მოადგილეები ჯუ დე, ლიუ შაო-ცი, სუნ ძინ-ლინი, ლი ძი-შენი, ჯან ლანი და საბჭოს წევრები ლი ლი-სანი, უ იუ-ჯანი, ჯოუ ენ-ლაი, ნე ჟუნ-ჯენი, გო მო-ჟო, შენ ჩუნ-ჟუ და სხვები.

გო მო-ჟოს სიტყვა პეკინში გამართულ მიტინგზე

პეკინი, 26 დეკემბერი. (საქდესი). სინხუას სააგენტო გადმოგვცემს, რომ პეკინში გაიმართა მასობრივი მიტინგი, რომელზეც სიტყვა წარმოთქვა მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესზე ჩინეთის დელეგაციის მეთაურმა გო მო-ჟომ.

გო მო-ჟომ აღნიშნა მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის წარმატება და მიესალმა მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის მებრძოლთ.

„საბჭოთა კავშირი,—თქვა მან,—მშვიდობის ყველაზე მძლავრი ბურჯია. მისი ურყევი სამშვიდობო პოლიტიკა აღაფრთოვანებს მშვიდობისმოყვარე ადამიანებს მთელ მსოფლიოში და განუმტკიცებს მათ იმის რწმენას, რომ მშვიდობის დაცვა შესაძლებელია.

— ჩვენ,—განაგრძო გო მო-ჟომ,—აგრეთვე მადლობელი უნდა ვიყოთ ჩვენი თავმჯდომარის მაო ძე-დუნისა და მამაცი შრომისმოყვარე ჩინელი ხალხისა. ჩვენ აღგვაფრთოვანა ჩინელი ხალხისა და განსაკუთრებით ჩინელი მოხალისეების გამარჯვებამ, რომლებიც კორეის გმირი სახალხო არმიის მხარდამხარ მამაცურად იბრძვიან კორეაში შეერთებული შტატების აგრესიული ჯარების და მათი სატელიტების ჯარების წინააღმდეგ. ჩინელი ხალხის პატრიოტიზმს, რაც გამოიხატა ამერიკის აგრესიის საწინააღმდეგო მოძრაობითა და კორეისადმი დახმარებით, ერთსულოვნად და გულწრფელად დაუჭირეს მხარი მშვიდობისათვის მებრძოლებმა მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესზე. შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად ეს მოძრაობა კონგრესის გადაწყვეტილებათა განხორციელებას წარმოადგენს. ჩინელ ხალხს მტკიცე რწმენა აქვს მშვიდობის მსოფლიო საბჭოსადმი, მხარს უჭერს მას და მთლიანად ანდობს კეთილი ნების ყველა ადამიანის მისწრაფების განხორციელებას — მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის გადაწყვეტილებათა შესრულებას, რათა უზრუნველყოფილ იქნას საბოლოო გამარჯვება მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლაში“.

ტიბეტის მოსახლეობა ეხმარება სახალხო-განმათავისუფლებელ არმიას

პეკინი, 27 დეკემბერი. (საქდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მიერ განთავისუფლებულ რაიონებში ტიბეტის მოსახლეობა აგროვებს ტიბეტის არმიის ნაწილების მიერ მიტოვებულ იარაღს და აბარებს სახალხო-განმათავისუფლებელ არმიას.

ქალაქ ჩამდოს გარნიზონის შტაბის ცნობით, გლეხებმა ჩააბარეს 720 შაშხანა და 17 მსუბუქი ტყვიამფრქვევი, რომელთა მეტ ნაწილსაც აზის ინგლისის ბირმინჰამის ქარხნის მარკა. ჩაბარებულ იარაღშია აგრეთვე ამა წლის მაისში შეერთებული შტატებიდან ჩამდოში გაგზავნილი ტყვიამფრქვევები. გარნიზონის შტაბს ჩაბარდა აგრეთვე ორი ინგლისური რადიოგადამცემი.

ტიბეტის მოსახლეობა უდიდეს გულისწყრომას გამოთქვამს იმის გამო, რომ ამერიკელები და ინგლისელები ტიბეტის არმიას აიარაღებენ ხალხის საელეტად. ქალაქ ჩამდოს მცხოვრებმა ვაჭარმა გვარად ჟენ ციანმა ჩააბარა 5 ინგლისური შაშხანა და განაცხადა: „ინგლისელი იმპერიალისტები ტიბეტის არმიას ამარაგებდნენ იარაღით ხალხის წინააღმდეგ საბრძოლველად. ახლა ჩვენ ამ იარაღს ვაბარებთ სახალხო-განმათავისუფლებელ არმიას ტიბეტის გასათავისუფლებლად და ჩვენი სამშობლოს დასაცავად“.

მდგომარეობა ფილიპინებზე

ნიუ-იორკი, 26 დეკემბერი. (საქდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობიდან ჩანს, კუნძულ ლუსონის ცენტრალური და ჩრდილოეთი ნაწილის სხვადასხვა რაიონში „ხუკბონგის“ (ფილიპინების სახალხო-განმათავისუფლებელი არმია) რაზმები აქტიურ საბრძოლო მოქმედებას ეწევიან მთავრობის ჯარებისა და პოლიციის წინააღმდეგ.

სასამართლო თვითნებობა თურქეთში

სტამბოლი, 28 დეკემბერი. (საქდესი). ამა წლის მაისში სტამბოლის უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა საზოგადოების წევრებმა მიტინგი გამართეს ნაზიმ ჰიქმეთის დასაცავად. თურქეთის ხელისუფლებამ „კომუნისტურ პროპაგანდად“ მიიჩნიეს მიტინგის მომწყობთა მოქმედება და სასამართლო დევნა დაუწყეს მათ.

როგორც გაზეთი „სონ ტელგრაფი“ იუწყება, ამ საქმის წინასწარი ძიება დამთავრდა. საზოგადოების წევრები ვეჯდი ოზგიუნერი, ნურან ბოზერი, ჯენაბ კარაკაია, გენიულ ზაშარანოღლუ დაპატიმრებული არიან და მალე სასამართლოს წინაშე წარდგებიან.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 27 დეკემბერი. (საქდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის 27 დეკემბრის ცნობაში ნათქვამია: სახალხო არმიის ნაწილებმა, რომლებიც მოქმედებენ ხამხინის (კანკო) რაიონში ხინამსა (კონანი) და სეხოჯინს (სეიკოსინი) შორის ხაზზე, 24 დეკემბერს სავსებით გაათავისუფლეს მთელი ეს რაიონი მოწინააღმდეგის ჯარებისაგან.

სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა 16 ნოემბრიდან 7 დეკემბრამდე ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 48 თვითმფრინავი, მათ შორის ორი თვითმფრინავი „ბ-29“.

კორეელი გლეხები სურსათის ფონდს ქმნიან სახალხო არმიისათვის

ჩრდილოეთი კორეა, 27 დეკემბერი. (საქდესი). კორეის ახლად განთავისუფლებული რაიონების გლეხები აქტიურად ჩაებნენ კორეის სახალხო არმიისათვის სურსათის ფონდების შექმნის მოძრაობაში. ჩრდილოეთ ფხენიანის პროვინციის საქჩუს, რენჩენის, პაკჩხონის და სხვა მაზრების, აგრეთვე სამხრეთ ფხენიანის პროვინციის ანჯუს, ტოკჩხონის და სხვა მაზრების გლეხები წარმატებით აგროვებენ სურსათს თავდაცვის ფონდისათვის. რენჩენის მაზრის ბურის თემის გლეხებმა თავდაცვის ფონდში უსასყიდლოდ შეიტანეს ასობით ტომარა ბრინჯი. ჩრდილოეთ ხამგენისა და სამხრეთ ხამგენის პროვინციების ბევრ მაზრაში, როცა ეს რაიონები ამერიკის ჯარებს ჰქონდათ ოკუპირებული, გლეხები საბოტაჟს უწევდნენ ლეწვას. ახლა კი ისინი დღედაღამ ლეწავენ და ჩქარობენ თავდაცვის ფონდში შეიტანონ ნამეტი პური.

ინდოეთის მთავრობის რეორგანიზაცია

დელი, 26 დეკემბერი. (საქდესი). როგორც ინდოეთის საინფორმაციო ბიურო იუწყება, დელში გამოცხადებულია ინდოეთის მთავრობის შემადგენლობაში პორტფელების შემდგომი ხელახალი განაწილება: რაჯაგოპალაჩარია დანიშნულია შინაგან საქმეთა მინისტრად; გოპალასვამი აიანგარი—სამთავრობო საქმეთა მინისტრად; ნ. ვ. გადგილი—საზოგადოებრივი სამუშაოების, წარმოებისა და მომარაგების მინისტრად; ხარეკრიშნა მეხტაბი—ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრად; შრი პრაკაში—ბუნებრივი რესურსებისა და მეცნიერული კვლევის მინისტრად. დანარჩენმა მინისტრებმა თავიანთი პორტფელები შეინარჩუნეს.

გერმანელი რევანშისტები ოცნებობენ „რომ-ბერლინის ღერძის“ აღდგენაზე

რომი, 27 დეკემბერი. (საქდესი). გაზეთებმა „პოპოლომ“ და „ტემპომ“ გამოაქვეყნეს თავიანთი კორესპონდენტების საუბარი ბონის „კანცლერ“ ადენაუერთან. გაიხსენა რა „ისტორიული ურთიერთობა“, რომელიც აკავშირებს გერმანიასა და იტალიას, ადენაუერმა განაცხადა, რომ დღეს დასავლეთი გერმანია და იტალია „დაკავშირებული არიან საერთო ბედით, რომელიც გამომდინარეობს ერთნაირი მოთხოვნილებისა და მისწრაფებისაგან, რაც განსაზღვრავს ინტერესთა ერთობლიობას“ მათ შორის.

გადავიდა რა საქმის პრაქტიკულ მხარეზე, ადენაუერმა განაცხადა, რომ დასავლეთმა გერმანიამ და იტალიამ მონაწილეობა უნდა მიიღონ „თავდაცვის ხაზის“ შექმნაში, რომელიც გაივლიდა მაქსიმალურად აღმოსავლეთით ჩრდილოეთის ზღვიდან ადრიატიკის ზღვამდე. როგორც ამ განცხადებიდან ჩანს, დასავლეთ გერმანიის რევანშისტული წრეები, რომლებსაც მხარს უჭერენ ამერიკის შეერთებული შტატები, ისწრაფვიან აღადგინონ ყბადაღებული „რომ-ბერლინის ღერძი“, რომელიც შემადგენელ ნაწილად შევიდოდა ჩრდილოეთ ატლანტიკის აგრესიული პაქტის სისტემაში.

ი. ა. მალიკის საუბარი ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნული საბჭოს ქალთა კომიტეტის დელეგაციასთან

ნიუ-იორკი, 27 დეკემბერი. (საქდესი). გამოხატა რა ამერიკელი ხალხის ფართო ფენების შეშფოთება და შიში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის საგარეო პოლიტიკის აგრესიული კურსით შექმნილი მდგომარეობის გამო, აგრეთვე მისწრაფება ამერიკელ ხალხსა და საბჭოთა ხალხებს შორის მეგობრული ურთიერთობისა და ურთიერთგაგების დამყარებისადმი, ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნული საბჭოს ქალთა კომიტეტის პროგრესულმა ორგანიზაციამ სსრ კავშირის მუდმივ წარმომადგენელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ი. ა. მალიკს მიმართა წერილით, რომლითაც სთხოვა მას მიეღო საუბრისათვის კომიტეტის დელეგაცია.

23 დეკემბერს ი. ა. მალიკმა მიიღო ქალთა დელეგაცია 12 ქალის შემადგენლობით, კომიტეტის თავმჯდომარის მიურიელ დრეიპერის მეთაურობით.

თავის შესავალ სიტყვაში მიურიელ დრეიპერმა ილაპარაკა მშვიდობის დაცვის კომიტეტის აქტიური საქმიანობისა და ამ ბრძოლაში რაც შეიძლება მეტი ამერიკელის ჩაბმისადმი მისწრაფების შესახებ. მან აგრეთვე განაცხადა, რომ დელეგაციის ყველა 12-მა წევრმა მოაწერა ხელი სტოკჰოლმის მოწოდებას.

ი. ა. მალიკმა კომიტეტს უსურვა შემდგომი წარმატებანი მშვიდობისათვის და სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხებს შორის უკეთესი ურთიერთგაგების დამყარებისადმი ხელშეწყობისათვის კეთილშობილურ ბრძოლაში.

შეეხო რა მშვიდობის განმტკიცების პრობლემას, ი. ა. მალიკმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთელი მსოფლიოს ხალხებს არა სურთ ომი და აქტიურად იბრძვიან მშვიდობისათვის, რასაც მოწმობს ის ფაქტი, რომ მთელ მსოფლიოში 500 მილიონზე მეტმა კაცმა მოაწერა ხელი სტოკჰოლმის მოწოდებას. საბჭოთა ხალხი, რომელმაც მრავალი სიძნელე განიცადა მეორე მსოფლიო ომის დროს და მოიპოვა ბრწყინვალე გამარჯვება ფაშისტურ აგრესიაზე, მშვიდობისათვის მებრძოლ ხალხთა ავანგარდში დგას.

საუბრის დროს ი. ა. მალიკმა პასუხი გასცა დელეგაციის წევრებს მთელ რიგ შეკითხვებზე.

ქალთა დელეგაციამ განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა საბჭოთა ქალის მდგომარეობისადმი, მისი როლისადმი საბჭოთა ხალხის პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში. დელეგაციის წევრებმა ი. ა. მალიკს ამ თემაზე მრავალი შეკითხვა მისცეს.

საუბრის დასასრულს დელეგაციის მეთაურმა მიურიელ დრეიპერმა გამოაქვეყნა ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნული საბჭოს ქალთა კომიტეტის მისალმების ტექსტი საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის სახელზე და მადლობა გადაუხადა ი. ა. მალიკს საუბრისათვის.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ძლიერდება მშვიდობის მომხრეთა საქმიანობა

ნიუ-იორკი, 27 დეკემბერი. (საქდესი). სან-ფრანცისკოში გამომავალი გაზეთი „პიპლს უორლდი“ იუწყება, რომ ქალაქ სან-დიეგოს თევზის კონსერვის მრეწველობის მუშათა ადგილობრივი პროფკავშირის აღმასრულებელმა კომიტეტმა პროფკავშირის 900 წევრის სახელით ტრუმენს გაუგზავნა წერილი, რომლითაც მოითხოვს ამერიკის შეერთებული შტატების ჯარების გამოყვანას კორეიდან და მოლაპარაკების წარმოებას „კეთილი ნების სულისკვეთებით“.

ამას წინათ ტრუმენს ანალოგიური წერილი გაუგზავნეს ვაშინგტონის შტატის ჩრდილოეთი ნაწილის სატყეო მრეწველობის მუშათა პროფკავშირის მუშა ქალებმა. სიეტლში გემების მზარეულთა და ოფიციანტთა პროფკავშირმა შექმნა მშვიდობის მომხრეთა მიერ ტრუმენისათვის ინდივიდუალური წერილების გაგზავნის ფართო კამპანიის მომწყობი კომიტეტი. ვაშინგტონის შტატის პენსიონერთა კავშირის ხელმძღვანელობამ მოითხოვა საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიანი გადაჭრა. ამასთან მხარი დაუჭირა სიეტლის „მშვიდობის დაცვის საგანგებო ასამბლეის“ მიერ ამ ცოტა ხნის წინათ დაკავებულ პოზიციას. ამ ორგანიზაციამ აზრი გამოთქვა, რომ საჭიროა შეერთებულმა შტატებმა ცნონ ჩინეთის სახალხო მთავრობა, მოხდეს დაზავება და კორეიდან დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნან უცხოეთის ჯარები.

გაზეთი „დეილი უორკერი“ იუწყება, რომ სოლტ-ლეიკ-სიტში გამომავალმა გაზეთებმა „ტრიბუნმა“ და „ტელეგრამმა“ გამოაქვეყნეს წერილები თავიანთი მკითხველებისა, რომლებიც მოითხოვენ მშვიდობიან მოწესრიგებას კორეაში.

ამერიკელი სამხედრო ტყვეები კორეაში

პეკინი, 27 დეკემბერი. (საქდესი). სინხუას სააგენტოს სპეციალური კორესპონდენტი გადმოგვცემს თავის შთაბეჭდილებებს ჩრდილოეთ კორეაში ამერიკელი სამხედრო ტყვეების შესახებ.

კორესპონდენტი, კერძოდ, მოგვითხრობს თავის შთაბეჭდილებას, რაც მან მიიღო ამერიკელი ტყვეების იმ ჯგუფთან შეხვედრისას, რომელიც ძირითადად ამერიკის მე-7 ქვეითი დივიზიისა და 1-ლი საზღვაო ქვეითი დივიზიის ჯარისკაცთა და ოფიცერთაგან შედგება.

„როდესაც მე ეს ჯგუფი დავინახე მისი ტყვედ წამოყვანისთანავე,—წერს კორესპონდენტი,—173 კაციდან 50 ტყვეს მოყინული ჰქონდა ხელ-ფეხი თბილი ტანსაცმლის უქონლობის გამო. ერთ მათგანს, გვარად კენეის, რომელიც მე-7 დივიზიაში მსახურობდა, ისე ძლიერ მოჰყინოდა ფეხები, რომ არ შეეძლო ფეხსაცმლის ჩაცმა და, როცა ტყვედ ჩავარდა, იძულებული იყო ფეხებზე საბანი შემოეხვია და ისე ევლო. ზოგიერთი მათგანი ხელების ძლიერი მოყინვის გამო ხელში ვერაფერს ვერ იღებდა და ტკივილისაგან ძლიერ იტანჯებოდა.

ტყვედ ჩავარდნამდე რამდენიმე დღის განმავლობაში ამერიკელები შიმშილობდნენ. ჩინელმა მოხალისეებმა მაშინვე აჭამეს მათ და ჯეროვანი ზრუნვით მოეპყრნენ“.

25-ე დივიზიის ლეიტენანტმა დელასმემ განაცხადა: „ვერასოდეს ვერ ვიფიქრებდი, რომ ჩინელები ამგვარად მოგვეპყრობოდნენ... საჭმელი ძალიან კარგია და არაფრით არ განსხვავდება იმ საჭმლისაგან, რომელიც თვით ჩინელებს ეძლევათ“.

იმ ფაქტმა, რომ ჩინელი მოხალისეები არ ართმევენ პირად ნივთებს ამერიკელ სამხედრო ტყვეებს, ამ უკანასკნელებზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა.

ჩინელი მოხალისეები უარს ამბობენ მიიღონ ამერიკელი სამხედრო ტყვეებისაგან რაიმე საჩუქარი. სერჟანტ მარტინს უნდოდა თავისი საფულე 20 ამერიკული დოლარით ჩინელი მოხალისისათვის მიეცა და იგი უალრესად გააკვირვა მოხალისის უარმა. „ამ ახალგაზრდამ განაცხადა, რომ ჩინელებს არ სურთ დოლარები, არამედ მათ უნდათ თავისუფლება და მშვიდობა“, — მითხრა მარტინმა.

სამხედრო ტყვეებისადმი სულგრძელი მოპყრობის შედეგად, აგრეთვე ომის მიზეზებზე იმ საუბრების მეოხებით, რომლებსაც მათ შორის ეწევიან, ზოგიერთი სამხედრო ტყვე უკვე ხვდება, რომ ისინი მოატყუეს ტრუმენმა და მაკარტურმა.

20 წლის ასაკის ამერიკელმა ჯარისკაცმა ფილიპმა აღიარა: „ყველაფერი ეს სრულიად უბრალოა. მე არმიაში ისევე შევედი, როგორც სხვები. ჩემი ადგილი შეერთებულ შტატებშია, და მე არ ვიცი, რა ეშმაკის გულისათვის ვიბრძოდი აქ, კორეაში?“. ერთმა კაპრალმა თქვა: „ჩვენ აქ, კორეაში, არაფერი არ გვესაქმება, და რაც უფრო მალე წავალთ აქედან, მით უფრო კარგი იქნება ყველასათვის“.

გასამწვანებლად და ბაღების გასაშენებლად

თბილისის [illegible] დება ასეული ათასობით ძირი როგორც ტყის ფოთლოვანი და წიწვიანი ჯიშები, ისე ხეხილი.

ამ დარგში დიდ მუშაობას ეწევა თბილისის ხეხილსანერგე. მარტო მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში სანერგიდან უკვე გაცემულია 60.000 ძირი ვაშლის, მსხლის, ნუშის, ტყემლის ნერგი და მიჩურინული ჯიშების მარწყვის 30.000 ჩითილი.

გარდა ამისა, სანერგიდან გასაცემად გამზადებულია ერთ მილიონამდე ძირი საუკეთესო ჯიშების ატმის, ბლის, ქლიავის, ნუშის, ბროწეულის, ლეღვის, სუბტროპიკული ხურმის, ლიმონის, თუთის, ვაზის, ვაშლის, მსხლის, ალვის ხის ნერგი.

საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების სამინისტროს განკარგულებით სპეციალურად როგორც სახელმწიფო ორგანიზაციებისათვის, ისე ქალაქის მოსახლეობისათვის სახელმწიფო ფასებში მისაყიდად შერჩეულია ქართული ჯიშის ლიმონი (ქოთნებში ჩარგულია 5.000 ძირი), ქართული ჩაი და სამურაბე ყვითელი ჯიშის ბლის ორწლიანი ნერგები, სუბტროპიკული შავნაყოფა ხურმა ხუთი სხვადასხვა ჯიშისა, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოშიც კარგი მოსავლიანია, კახური ჯიშების ათასი ძირი ლეღვი, განჯური ტბილი და ადგილობრივი ჯიშების 10.000 ძირი ბროწეული, დიდძალი ხიდისთაური ყვითელი და ვარდისფერი ატამი, ნამყენი თუთა, ვაზი, მარწყვის 10.000 ძირი მიჩურინული ჯიშის ჩითილი, ათასობით ძირი სხვადასხვა ჯიშის ყვავილი.

ნერგისა და ჩითილის გაცემა ხდება უშუალოდ სანერგიდან (ბრძოლის ქუჩა, № 100).

პოეტ ალიო მირცხულავას შეხვედრა მოსწავლე ახალგაზრდობასთან

24 დეკემბერს თბილისის ქალთა 38-ე საშუალო სკოლის მოსწავლე ახალგაზრდობამ გულთბილი შეხვედრა მოუწყო პოეტ ალიო მირცხულავას. პოეტისადმი მიძღვნილი საღამო გახსნა კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ლამარა კრავეიშვილმა. პოეტის ბიოგრაფია დამსწრეთ გააცნო მოსწავლე კლარა კახიძემ; ალიო მირცხულავას შემოქმედებაზე მოხსენება გააკეთა მოსწავლე ზემფირა ავალიშვილმა. პოეტს მისასალმებელი სიტყვით მიმართა მასწავლებელმა ვენერა კუტალაძემ.

ალიო მირცხულავასადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს ნორჩმა მკითხველებმა ზემფირა ავალიშვილმა, თამარ ჯავახიშვილმა, ლია მამულაშვილმა, ტურფა უჯმაჯურიძემ, ელისო ხელაშვილმა და სხვებმა. პოეტის ლექსები წაიკითხეს მოსწავლეებმა ლამარა კრავეიშვილმა და დალი გიგინეიშვილმა.

პოეტმა ალიო მირცხულავამ მადლობა გადაუხადა სკოლის მასწავლებლობას, მოსწავლე ახალგაზრდობას გულთბილი შეხვედრისათვის და წაიკითხა რამდენიმე ახალი ლექსი.

დასასრულ გამოვიდა სკოლის თვითმოქმედი გუნდი. მოსწავლეთა მიერ შესრულებულ იქნა ანსცენირებანი, ცეკვები, სიმღერები, წარმოდგენილ იქნა მონტაჟი „წიგნი ჩვენი მეგობარია“.

შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში რესპუბლიკის პირველობაზე

გორი, (საქ. კორ.). სამ დღეს მიმდინარეობდა შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში რესპუბლიკის პირად პირველობაზე. შეჯიბრებაში მონაწილეობდა რესპუბლიკის 18 რაიონის 81 მოჭიდავე.

პირველი ადგილი დაიკავეს: უმჩატეს წონაში —ლ. კაციაშვილმა (თბილისი), მჩატე წონაში — ი. მასხულიამ (ლანჩხუთი), მსუბუქ წონაში — ვ. ბალავაძემ (თბილისი), ქვემსუბუქ წონაში — შ. გურგენიძემ (გორი), ქვესაშუალო წონაში — ს. მაისურაძემ (თბილისი), საშუალო წონაში — დ. ჩაჩანიძემ (თბილისი), ქვემძიმე წონაში — ბ. თედეევმა (თბილისი), მძიმე წონაში—ს. ბადურაშვილმა (თიანეთი).

მეორე ადგილი დაიკავეს ო. შაქარაშვილმა, თ. ელერდაშვილმა (საგარეჯო), მ. იოსებაშვილმა (თბილისი), ს. ბახტაძემ, რ. ბერძულიშვილმა (გორი), შ. ჩიკვაიძემ (თბილისი), ა. ქერივოშვილმა (გორი), ნ. დანელიამ (გეგეჭკორი).

შეჯიბრებაში გამარჯვებულთ გადაეცათ სიგელები და სამკერდე ნიშნები.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

საზოგადოებრივ ადგილებში საახალწლო ნაძვისხის მოწყობის დროს ხანძრის საწინააღმდეგო წესების შესახებ

ნაძვისხის მოწყობა საზოგადოებრივ საკრებულო ადგილებში სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის წარმომადგენლის მიერ წინასწარ დათვალიერებლად და მისი გახსნა წერილობითი ნებართვის მიუღებლად აკრძალულია. (ქალაქ თბილისში ნებართვებს გასცემენ რაიონული სახანძრო ინსპექციები).

ნაძვისხე არ უნდა დაიდგას გასასვლელებში და გამოსასვლელების ახლოს.

ნაძვისხის ზომა ისეთი უნდა იყოს, რომ მისი ტოტები არ ეხებოდეს სათავსოს ჭერს და კედლებს და დაცილებული იყოს მათგან სულ მცირე 1 მეტრით.

სკოლებსა და საზოგადოებრივ საკრებულო ადგილებში, სადაც ელექტროგანათება არ არის, ნაძვისხე შეიძლება მოწყობილ იქნას მხოლოდ დღისით. ნაძვისხის სანთლებით განათება კატეგორიულად აკრძალულია.

შენიშვნა: თუ ბინებში ნაძვისხის განათება ხდება სანთლებით, აუცილებელია სანთლების მკიდროდ ჩამაგრება ნაძვისხის შანდლებში, სანთლები კი დაცილებულ უნდა იქნას ტოტებისაგან და დაკიდებული მოკაზმულობისაგან.

ნაძვისხე დარბაზის შუა ადგილას უნდა დაიდგას მყარ ჯვარისებურ სადგარზე სველ მიწიან ან ქვიშიან კასრში ან ყუთში.

ნაძვისხის გაფორმებისას როგორც საზოგადოებრივ ადგილებში, ისევე ბინებში აკრძალულია: ა) ცელულოიდის და სხვა ადვილად აალებადი სათამაშოებისა და მოკაზმულობის ჩამოკიდება, ბ) სადგარსა და ტოტებზე ცეცხლგამძლე ხსნარით გაუჟღენთავი ბამბის დაფენა და ასეთივე ხსნარით გაუჟღენთავი ბამბის ნაკეთობათა დაკიდება, გ) ნაძვისხეზე ბერთოლეს მარილის დაყრა.

ნაძვისხე შემოფარგლული უნდა იყოს ქვედა ტოტებიდან 0,5 მეტრით დაცილებული გამძლე მოაჯირით. ილუმინაცია, მტკიცედ, საიმედოდ და ყველა ელექტროტექნიკური ნორმისა და წესის დაცვით უნდა იყოს მოწყობილი.

ილუმინაცია, როგორც წესი, მოწყობილი უნდა იყოს ნათურის დამცავი ტრანსფორმატორის საშუალებით 12-ვოლტიანი ძაბვისათვის.

ნაძვისხის განათების მოწყობილობაში სულ მცირე საეჭვო მდგომარეობის შემჩნევისას (სადენების ზომაზე მეტად გახურება, ნათურების ციმციმი, ნაპერწკლიანობა და სხვა) ილუმინაცია უნდა გამოირთოს და იგი შეიძლება ჩართულ იქნას უწესივრობის აღმოფხვრის შემდეგ.

ნაძვისხეზე სინათლის ანთების წინ შემოწმებულ უნდა იქნას განათების წესივრობა, ხანძრის ქრობის საშუალებების არსებობა (ცეცხლსაქრობები, წყალი ვედროში) და სხვა ღონისძიებანი, რაც უზრუნველყოფს ნაძვისხეზე დამსწრეთა უშიშროებას.

ნაძვისხის მოწყობის დროს ყველა გამოსასვლელი ღია უნდა იქნას და მათთან მორიგეებად უნდა იდგნენ მოზრდილები. ის ოთახი, სადაც ტელეფონი დგას, ღია უნდა იყოს, იქვე აპარატთან გაკრული უნდა იყოს უახლოესი სახანძრო რაზმის ტელეფონის ნომრები.

ნაძვისხის მოწყობის დროს აკრძალულია: ა) სხვადასხვა სახის ფოიერვერკის გაჩაღება, ბენგალის ცეცხლის, მაგნიუმისა და ტკაცუნების ხმარება, ბ) ნორმაზე მეტი რაოდენობით ბავშვების დაშვება (10 კვ. მეტრზე დასაშვებია 15-16 კაცი), გ) მთლიანად სინათლის ჩაქრობა იქ, სადაც ნაძვისხეა მოწყობილი, დ) ასანთის ანთება და თამბაქოს მოწევა.

აკრძალულია ნაძვისხესთან იმ ბავშვებისა და მოზრდილების დაშვება, რომლებსაც ბამბის, ქაღალდის, მარლის და სხვა ადვილად აალებადი მატერიის მოსართავები აცვიათ, აგრეთვე ნაძვისხის გარშემო ანთებული სანთლებით თამაშის მოწყობა.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველო

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1571 და 49,59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

30 დეკემბერს

6.45—მუსიკალური ნაწყვეტები კინოფილმებიდან. 8.30 — ვალსები. 17.15 — სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტი. 18.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის. 18.20 — ქართული მუსიკის კონცერტი. 20.30—რადიოსადგურებით — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის. ქალაქის ქსელით—კამერული მუსიკის კონცერტი. 20.45 — საქართველოს რადიოკომიტეტის საგუნდო კაპელის კონცერტი. 21.10 — გადაცემა მარქსიზმ-ლენინიზმის შემსწავლელთა დასახმარებლად: ბოლშევიკური პარტიის ტაქტიკური საფუძვლები (ლენინის შრომა „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“). 21.40—ლიტერატურული გადაცემა. ს. ჩიქოვანის ლექსებს დავით გურამიშვილზე. 23.00 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი.

დღეს თეატრებში

ოპერისა და ბალეტის—„ჩიო-ჩიო-სან“ (მე-4 აბ.); **რუსთაველის სახელობის** — „ღალატი“; **მარჯანიშვილის სახელობის** — „სანაპიროზე“; **გრიბოედოვის სახელობის** — „ძახველის ჰალა“ (მე-13 აბ.); **სომხური დრამის**—„მზის დაბნელება საქართველოში“; **მუსიკალური კომედიის** — „თბილისის ცის ქვეშ“ (ფილარმონიის საზამთრო თეატრის შენობაში); **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—„პატარა მეთხილამურეები“ (47-ე აბ. 4 საათზე), „გამოქცევა“ (მე-12 აბ. 8 საათზე); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — „ესპანელები“ (მე-15 აბ. 4 საათზე); **ხანკულტურის** — „სამი მეგობარი“; **თოჯინების ქართული** — „თოვლის პაპა“ (4 საათზე); **სახელმწიფო ცირკი**—დიდი საცირკო წარმოდგენა.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის — „სიყვარულის წამალი“; **„ოქტომბერი“**—„უკანასკნელი რაუნდი“; **„ამირანი“**—„ცამეტნი“; **„თბილისი“**—„მოკრივეები“ (დღისით), „დუნაის შვილი“ (საღამოს); **„სპარტაკი“**—„მოუხელებელი იანი“; **„კომკავშირელი“**—„მაშენკა“ (დღისით), „მუსორგსკი“ (საღამოს); **26 კომისრის სახელობის** — „მათ აქვთ სამშობლო“ (დღისით), „მუსიკალური ისტორია“ (საღამოს); **„კოლმეურნე“** — „ორი მებრძოლი“ (დღისით), „ჯამბაზები“ (საღამოს); **„დიდუბე“**—„მუსორგსკი“.

მოქალაქე **ნადია ალექსის ასულმა ჩარექოვმა**, მცხოვრებმა ორჯონიკიძის ქ. № 18, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ბორის ყარამანის-ძე ჩარექოვთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის I ინსტანცია.

ბ. ჯიქია, ა. მაღლაკელიძე, შ. ჯამასპაშვილი, დ. კაპანაძე, შ. ჩაჩუა, ქ. გვანცელაძე, ა. ხეთაგუროვი, გ. ლომაძე, ლ. ასათიანი, ვ. სუდარაინი, შალამბერიძე და ბრეგაძე იუწყებიან **გრიგოლ ანტონის-ძე წულუკიძის** გარდაცვალებას.

მშობლები ევგენია და ვლადიმერ ჯღამაძეები, შვილი დიანა იუწყებიან **ელენე ჯღამაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 29, 30-XII, 7 ს. გამოსვენება 31-XII, 3 ს. რუსთაველის პროსპ. 1.

და თინა, სიძე მიშა ხინთიბიძე იუწყებიან **ელენე ჯღამაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 29, 30-XII, 7 ს. გამოსვენება 31-XII, 3 ს. რუსთაველის პროსპ. 1.

მეუღლე ანა, შვილები ელენე, პეტრე, პავლე, საშა, რძლები ნინო, მარგო, რიმა, სიძე კოტე, შვილიშვილები იუწყებიან **ართემ პეტრეს-ძე ულარჯიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-XII, ახალციხეში.

დედა დარეჯან, მამა ვარლამ, ძმა ჯემალ ესაიაშვილები იუწყებიან, რომ 31-XII, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **ნანა ვარლამის ასულ ესაიაშვილის** პანაშვიდი.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ანალიზური, ორგანული და ფიზიკურ-კოლოიდური ქიმიის კათედრის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ს. ძიძაძეს მისი დის **მარიამ ძამიაშვილის** გარდაცვალების გამო.

კაზარ, ნატა მესროპოვები, ფილიპე, ზინა მაჰვერიანები და ლუკა ტყემალაძე ოჯახით თანაგრძნობას უცხადებენ ნ. რ. და ა. გ. წულუკიძეებს **გრიგოლ ანტონის-ძე წულუკიძის** გარდაცვალების გამო.

ქეთო ხუნდაძე, ალიოშა გოგუაძე შვილებით ბექიკოთი და დარეჯანით იუწყებიან სიძის **გერმანე ანტონის-ძე ჯიბუტის** გარდაცვალებას.

ვ. ჩიქავა, დ. უსეინაშვილი, პ. კორძაია, ი. ნიჟარაძე, მ. ციციშვილი, ტ. გუნია, ე. თურქია, რ. ღლონტი, ე. კალანდაძე, ნ. გაგუა, ა. დარსანია, ს. გუგუშვილი თანაგრძნობას უცხადებენ მ. დოლაბერიძეს მისი მამის **მელიტონ ლუკას-ძე დოლაბერიძის** გარდაცვალების გამო.

მეუღლე ნადია, შვილები ალექსანდრა, დიმიტრი, გიორგი, ნათელა, ნაზიკო, სიძეები ა. არეშიძე, ა. კერესელიძე, რძლები თამარ, მარო შვილებით იუწყებიან **კონსტანტინე ექვთიმეს-ძე ჰავჰანიძის** გარდაცვალებას.

საქბრეშუმტრესტის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნათელა და არჩილ არეშიძეებს **კონსტანტინე ჰავჰანიძის** გარდაცვალების გამო.

შვილები ვალიკო, მაქსიმე, პლატონ, ქეთო, რძლები თამარ, ქეთო, შვილიშვილები ტოგო, ტატიანა იუწყებიან დამსახურებული მასწავლებლის **არონ მაქსიმეს-ძე დოლიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 2-I დაბა სურამში.

საქართველოს სსრ მთავლიტის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ გრიგოლ მიქაუტაძეს მისი დედის **ხეფორია მიქაუტაძის** გარდაცვალების გამო. დაკრძალვა ზნაკვაში (ამბროლაურის რ.).

ქ. მეველაძე, მ. მენაღარიშვილი, ქ. ასათიანი, გ. ჟუჟუნია, ლ. თოხაძე, ვ. ვასაძე, მ. ქავთარაძე, თ. ჯანელიძე, ნ. ქინქლაძე, ტ. ღლონტი, ლ. გოგუაძე იუწყებიან ექიმ **გერმანე ანტონის-ძე ჯიბუტის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-XII მახარაძეში.

მეუღლე ელენე, სიდედრი ნინო, ცოლისძმები ვიქტორ, ვახტანგ გაბესკირიები ოჯახებით იუწყებიან **გრიგოლ მიხეილის-ძე გაბუნიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 31-XII ბათუმში. გამოსვენება კომკავშირის, 12.

ქეთო, მაშო, ალიოშა გოგუაძეები, ოლია, ვლადიმერ, ნელი, პავლე ჯაველიძეები, ელენთე, სონია, ვანო, ბაბუა მღინარაძეები იუწყებიან ექიმ **გერმანე ანტონის-ძე ჯიბუტის** გარდაცვალებას.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის III საფერშლო სკოლის მუშა-მოსამსახურენი და პედპერსონალი თანაგრძნობას უცხადებენ ფარეშიშვილს მისი მამის **ზურაბ ივანეს-ძე ფარეშიშვილის** გარდაცვალების გამო.

შვილები გერონტი, აგნესა, ელენე, ეულია, რძლები ნორა, ლუბა, შვილიშვილები თინა, დარეჯან, ოთარ, დავით, ციცინო იუწყებიან **მატრონე მიხეილის ასულ წულაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 31-XII ქვიანში (ლანჩხუთის რ.).

შვილები შალვა, ლადო, ქენია, ელენე, რძლები ქეთო, ნადია, შვილიშვილები თემურ, მერაბ, გურამ ხაჩიძეები იუწყებიან **ბარბარე ალექსანდრეს ასულ ხაჩიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 29-XII, 7 ს. გამოსვენება 30-XII. 3 ს. მარჯანიშვილის, 49.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების—3 81 84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურისა და უფაცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80-81, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 05473